# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 25 აპრილი 2001 №73 (1346) | ფასი 50 თეთრი



5 არბიტრის ბედი საქართველოში

ამოიღებ ინანებ, არ ამოიღებ ინანებ

6 ინგლისში უძვირესი მსოფლიოში მეთერთმეტეა



რუუდ ვან ნისტელროი: დიდი ფული და ხმაური

8 ის, რაც ჯერ საეჭვოა, იტალიას არ ეეჭვება



ედგარ დავიდსი და დოპინგი

10 ელდარის ელდორადო



ბუდაპეშტი კურტანიძის ოქროს ქალაქია


# ჩვენ ვირჩევთ... მსაჯებს

## ოფიციალური ამხანაგობა და ამხანაგური ოფიციალობა



საქართველო — ისრაელი 3:2. არჩილ არველაძის (№8) თავურს მესამე და გამარჯვების გოლი მოჰყვა

ვახტანგ ბზიკაძე

რა დანიშნულება აქვს საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს?

ეს კითხვა, კონტექსტიდან ამოვარდნილად, შეიძლება ისევე ჟღერდეს, როგორც გუშინდელ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დასმული კითხვა, რას ნიშნავს თქვენთვის ანგარიში 3:2.

ამ კითხვას დავით ყიფიანმა რატომღაც უცნაური ხუმრობით უპასუხა, ეს ნიშნავს, რომ მატჩი ჩაწყობილი იყოო.

ამ ბოლო დროს წინასწარ გარიგებული მატჩების აღმოჩენა მართლა ისე მოდური გახდა, სულაც არ იქნებოდა მოულოდნელი, გუშინდელი შეხვედრის დელეგატ ანატოლი მილჩენკოს ფიფასთვის რომ მოეხსენებინა, „რადგან მატჩის მსვლელობისას არ იგრძნობოდა სპორტული სულისკვეთება ფეხბურთელთა მხრიდან და ადგილი ჰქონდა ფეირ-პლეის პრინციპების დარღვევას, მატჩის შედეგი არ დაამტკიცოთ."

ეს ცხადია, ხუმრობით — მილჩენკო ასე არ მოქცეულა. არადა, სპორტული სულისკვეთება მოედანზე მართლა სანთლით საძებარი იყო, რის გამოც ვინმეს ეგებ ჩაეძინა კიდეც.

და კიდევ, ნამდვილად ჰქონდა ადგილი ფეირ-პლეის პრინციპების დარღვევას, თანაც დებიუტანტთაგან.

ეროვნული გუნდის 20 წლის ახალბედა ვალერი აბრამიძემ მასთან შერიგების მოსურნე ალონ მიზრახის ხელი ორჯერ აუქნია, 19 წლის მალხაზ ასათიანს კი ლევან სილაგაძესთან წაკიდებული ჰაიმ რევივო გაშველებისას კინაღამ შემოელახა.

ორივე, აბრამიძეც და ასათიანიც, ტორპედოელია. ორივეს მთავარი მწვრთნელი ნაკრებსა თუ კლუბში რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი არიან.

ჰოდა, აკი გახსენდება ასეთ დროს რევაზ ძოძუაშვილის მართლაც ძნელად დასავიწყარი სიტყვები: „რუმინეთთან წაგების მიზეზებზე ადრე რაც ვთქვი, გავიმეორებ. ჟურნალისტებმა ფეხბურთელები მატჩამდე ცაში აიყვანეთ, რამაც მათზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა".

მოდით, ასე ვთქვათ: თუკი ფეხბურთელს ჟურნალისტის ერთი ქათინაური ისე აგდებს კალაპოტიდან, რომ მწვრთნელი ვერც კლუბში ახერხებს მის დაოკებას და მოწესრიგებას და ვერც ნაკრებში, ბარაქალა ჩვენს ჟურნალისტობას და მწვრთნელთა მწვრთნელობას.

ერთიცაა: ძნელი სათქმელია, რა მოუტანა საქართველოს ეროვნულ გუნდს „კიოლნთან" და „ფრაიბურგთან" ამხანაგობამ, ეს კია, აბრამიძე და ასათიანი რომ დებიუტანტებად აღარ გრძნობენ თავს და ზედმეტის უფლებას აძლევენ, მსგავსი მატჩების გამოძახილია.

გუშინ ქართველებმა მოიგეს. არადა, თემურ ქეცბაიას და ალონ მიზრახის ორ-ორი გოლით მატჩის სავარაუდო შედეგი ერთხანს ამხანაგური ფრე ჩანდა.

მაგრამ გუშინ ქართველებს ძალიან სურდათ მოგება და ტყუპისცალის პასსმოყოლილ არჩილ არველაძის თავური გოლით მოიგეს კიდეც.

მოგება ყოველთვის სასურველია, მაგრამ ზოგჯერ ჩვეულებრივზე მეტად სასურველი და აუცილებელიც.

ასე იყო გუშინაც. საამისოდ მიზეზიც საკმარისია და ახსნაც რამდენიმე.

მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში რუმინეთთან უსუსურმა მატჩმა ბევრს აფიქრებინა, რომ კორეა-იაპონიაში წასვლისა ქართველ ფეხბურთელებს და მწვრთნელებსაც ისევე არ სჯერათ, როგორც თვეობით მომლოდინე პენსიონერებს კუთვნილის პროცენტით ანაზღაურება.

არ სჯერათ, მაგრამ ამის ხმამაღლა აღიარება არავის სურს. ეს რომ აღიარონ, ფუნქციას დაკარგავს მწვრთნელიც, ფეხბურთელიც და ფედერაციაც.

არადა, სარუმინეთოდ კბილებალესილი ქომაგობა მისახვედრს მიხვდა. ამიტომაც იყო, თუ 28 მარტს სტადიონზე მოხვედრის მსურველები მის მილმა დარჩნენ, გუშინ ქართველთა საქომაგოდ მაშინდელის მესამედი ძლივს მივიდა.

საქართველოს ნაკრებს კი მაინც არ სურს უპერსპექტივობის აღიარება. ლიტვიდან ლიტვამდე დიდი დროა და საწინააღმდეგოს დამტკიცებას ამხანაგურ მატჩებში წარმატების მიღწევით ცდილობს.

იხილეთ მეორე გვერდი

ამხანაგური მატჩი. 24 აპრილი. თბილისი. ეროვნული. 10 000 მაყურებელი

# საქართველო 3:2 ისრაელი

1:0 ქეცბაია (9), 1:1 მიზრახი (16), 2:1 ქეცბაია (36), 2:2 მიზრახი (73), 3:2 ა. არველაძე (88)



თემურ ქეცბაიაზე (№9) ორი გოლი ალალი იყო

**საქართველო**

1. ლომაია
3. აბრამიძე, 2. სილაგაძე
6. ქემოკლიძე, 13. ხიზანიშვილი
4. რეხვიაშვილი
9. ქეცბაია, 7. გახოკიძე
10. ქინქლაძე
11. შ. არველაძე, 8. ა. არველაძე

**ისრაელი**

11. მიზრახი
10. რევივო
9. ბენაიონი, 7. ბადირი, 8. კატანი
3. ზეიტუნი
6. კეისი, 5. გერშონი, 4. ბრუმერი, 2. ხარაზი
1. ელიმელეხი

შეცვლა: **ქინქლაძე — 17. ალექსიძე (46), ბრუმერი — 15. ბენადო (46), კატანი — 14. ბენ დაიანი (46), ხიზანიშვილი — 15. ჭანკოტაძე (64), გახოკიძე — 16. ასათიანი (68), ხარაზი — 12. შელახი (80), მიზრახი — 17. ბენ ამი (80), ა. არველაძე — 18. ლ. მელქაძე (89)**

გაფრთხილება: **ბადირი (28), ბენ ამი (86), სილაგაძე (90), რევივო (90)**

მსაჯები: **ს. კვარაცხელია; ლ. მიქელაძე, კ. გაბრიაძე; ა. შილაკაძე (ყველა საქართველო)**

დელეგატი: **ა. მილჩენკო (საქართველო)**

ჯარიმა: **12:27;** კუთხური: **9:6;** კარისკენ დარტყმა: **18:2;** კარში დარტყმა: **10:5;** თამაშგარე: **3:8**

# ჩვენ ვირჩევთ... მსაჯებს

დასაწყისი პირველ გვერდზე

იქნებ ამიტომაც იყო, რომ გუშინდელი მატჩი ქართველებმა ისე ჩაატარეს, როგორც რაღაც განსაკუთრებული — ოფიციალური. მაშინ, როცა ისრაელისთვის ეს იყო ერთი ჩვეულებრივი, ამხანაგური შეხვედრა.

გუშინდელი მატჩი საუკეთესო მაგალითი იყო იმისა, თუ რა სულერთი შეიძლება იყოს ერთი და იგივე მატჩის შედეგი ერთი მეტოქისთვის, და რა სასიცოცხლო მნიშვნელობისა მეორისთვის.

გუშინ ქართველებს მოგება ჩვეულებრივზე მეტად სურდათ. არსებობს კიდევ ერთი საამხო დასტური — მსაჯობა.

მეცხრე წელია, საქართველოს ნაკრები ფიფას ეგიდით მართავს საშინაო ამხანაგურ მატჩებს და ამ ხნის მანძილზე არანეიტრალური, ანუ ქართველი არბიტრი სულ სამჯერ ჰყოლია.

პირველივე საშინაო მატჩი გურჯაანში გურამ სეფიაშვილმა უმსაჯა ქართველებს აზერბაიჯანთან 1992 წლის 17 სექტემბერს და 6:3 დასრულდა, ბოლო გუშინდელი იყო და კარგად მოგეხსენებათ, როგორც დამთავრდა, მესამე ასეთი მატჩი კი 1998 წლის 18 ნოემბერს ესტონეთთან მერაბ მალაღურაძემ განსაჯა და ქართველებმა მაშინაც მოიგეს 3:1.

სამი მატჩი დასკვნის გამოსატანად არც ბევრია და არც ცოტა. და მაინც, დასკვნა: ქართველებს ქართველთა მსაჯობა კარგად აქვთ დაცდილი.

ახლა კონკრეტულად გუშინდელ ბრიგადაზე ვთქვათ. როგორც შესვენებისას გვამცნეს, 1 ივნისს თურმე უელსელი ახალგაზრდები პოლონელ თანატოლებს ხვდებიან და გუშინდელი მატჩის განმსჯელები იგივე შემადგენლობით იმ მატჩსაც გაუძღვებიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა მოინდომა. ერთი: მნიშვნელოვანი მატჩის სასურველად განსჯა შინაურებს მიანდო; მეორე: ქართველ მსაჯებს „მნიშვნელოვანი" საერთაშორისო მატჩისწინა რეპეტიციის შანსი არგუნა. და იყო მესამე კურდღელიც: დაიზოგა, ბევრი, ბევრი, 1000 დოლარი, რომელიც სომხეთიდან ან აზერბაიჯანიდან მსაჯების მოწვევა-გასტუმრებას დასჭირდებოდა.

ვერ ვიტყვით, რომ უცხოელები აუცილებლად უშეცდომოდ იმსაჯებდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ შეცდომებს სუბიექტურობის და მიკერძოების სუნი აღარ აუვიდოდა. მაგრამ სფფ-მ ასე არჩია.

ფეხბურთში უამრავი არჩევანია გასაკეთებელი. ასარჩევია ზოგადი სტრატეგია თუ კონკრეტული მატჩის ტაქტიკა-შემადგენლობა.

ასარჩევია პრესასთან და ქომაგებთან ურთიერთობის ფორმა და სტილი.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა მაგალითზე ვრწმუნდებით, რომ სავსებით შესაძლებელია, არჩევანი იყოს უმართივესი და დაუფიქრებელი, მაგალითად, შეგიძლიათ აირჩიოთ:

თქვათ თუ არა, ამ და ამ ფეხბურთელის გამოყვანა გულშემატკივარმა მოითხოვა და იმიტომ ვათამაშეთო;

დააბრალოთ თუ არა უდანაშაულო მეკარეს შორეული გოლის გაშვება და მატჩის ვერგადარჩენა;

დანიშნოთ თუ არა ვარჯიში 15 ან 18 საათზე იმის მიხედვით, რომელი ლეგიონერი როდის ჩამოფრინდება თბილისში, ჟურნალისტებს კი ამის თაობაზე არაფერი უთხრათ და გუნდის ვარჯიში გააცდენინოთ;

დააყენოთ თუ არა დილის 7 საათზე საქართველოში ჩამოფრენილი მოთამაშე იმ მატჩის ძირითად შემადგენლობაში (რომ არაფერი ვთქვათ უჩვეულო პოზიციაზე), რომელიც 15 საათზე იწყება;

...და უამრავი სხვაც.

როცა დიდ საქმეს შეეჭიდები და ყველაფერს ერთად ვერ გაწვდები, გინდა, არ გინდა, უნდა აირჩიო. რაიმე მნიშვნელოვანის საფასურად ნაკლებმნიშნელოვანი უნდა დათმო.

უნდა აირჩიო ადგილი, რომელიც გსურს და შეგეფერება საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროში და აქედან გამომდინარე შეეგუო: რუმინეთი მოგიგებს, იტალიას ეგებ ფრესაც გამორჩე, მაგრამ ეს იქნება შენი მაქსიმუმი. ფრე კი ვერასდროს სჯობს მოგებას. მე თუ მკითხავთ, ზოგჯერ წაგებაზეც უარესია.

დიდი ხანია, აურჩევია ისრაელს.

მართალია, მხოლოდ არჩევანზე არ ყოფილა დამოკიდებული, მაგრამ ფაქტია, ახლო აღმოსავლეთის ეს ახალგაზრდა სახელმწიფო ერთადერთია, რომლის გუნდებიც ბოლო 9 წელია, ევროპულ სარბიელზე თამაშობენ.

ავად, კარგად თამაშობენ და იციან, რა სურთ. სურთ განვითარება და მცოდნე და სახელდაგდებული უცხოელი მწვრთნელიც იწვიეს: დანიელი რიქარდ მიოლერ-ნილსენი.

მწვრთნელის დანიშვნა გლობალური არჩევანია, მაგრამ ფეხბურთში ყოველ ფეხის ნაბიჯზევეა არანაკლებ მნიშვნელოვანი არჩევანი გასაკეთებელი.

მაგალითისთვის სპარინგ-პარტნიორის შერჩევა ავიღოთ. არჩევანზე მიდგა საქმე და ისრაელმა ლიხტენშტაინთან 2 ივნისის მატჩამდე ბოლო მეტოქედ საქართველო აირჩია, საქართველომ კი იტალიასთან იმავე დღეს გასამართი შეხვედრის გენერალურ რეპეტიციად, ინებეთ, გუშინდელი მატჩი მონათლა.

კიდევ უარესი, 9 მაისს საქართველოს კლუბების ნაკრები აზერბაიჯანს ეთამაშება. გაუგებარია, ვის სჭირდება ეს შეხვედრა, ქართულ კლუბებს, საქართველოს თუ აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდებს?

ალბათ, არავის, განა შეიძლება, საორივნისო სამზადისში მყოფმა ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა კლუბების ნაკრებისთვის მოიცალონ?

რითაც დავიწყეთ, იმითვე დავასრულოთ: იცის საქართველოს ნაკრებმა რა დანიშნულება აქვს საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას?

მგონი, არა და ეს ამხანაგურზე უკეთ ოფიციალურ მატჩებში გამოჩნდება.

## მატჩის შემდეგ

***ზურაბ ხიზანიშვილი*** მატჩის დღეს, დილის შვიდ საათზე ჩამოვიდა თბილისში, ებრაელებთანაც მონდომებით იბრძოდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაძლო და ფეხმტკივანი შეცვალეს. მატჩის დამთავრებას ერთი წუთიღა უკლდა, გასახდელიდან გამოსულმა ჩვენების მესამე გოლის ამბავი რომ გაიგო, სიხარულით გაუბრწყინდა თვალები:

— მოვიგეთ? დიდებულია. გული მიგრძნობდა, გავიმარჯვებდით. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს მოგება უთუოდ წაგვადგება. ებრაელებს რამდენიმე მოთამაშე აკლდათ, მაგრამ მაინც სოლიდურად გამოიყურებოდნენ, ბოლომდე იბრძოდნენ. ჩვენი საზრუნავი კი ამ წუთიდან იტალიასთან მატჩისთვის სამზადისი უნდა იყოს. ჯერ არაფერი გვაქვს დაკარგული და მაქსიმუმის მიღებას უნდა ვეცადოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ***გიორგი ქინქლაძეს*** კმაყოფილება ეტყობოდა, ჩვეული სტილისთვის არ უღალატია და ჩვენს კითხვებს ლაკონურად უპასუხა.

— მოგებას ვიმსახურებდით და გავიმარჯვეთ... რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გავაცუდეთ და ამ კუთხით სამუშაო გვაქვს... შესვენებისას მწვრთნელებს ვთხოვე, რომ შევეცვალე. გადავწყვიტე, რომ გუნდისთვის ასე აჯობებდა.

მომავალს იმედიანად უყურებს „კიოლნის" ქართველი ლეგიონერი ***არჩილ არველაძე:***

— ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი არ დაგვიკარგავს. რა არის ამაში შეუძლებელი? ჩამოვიდა რუმინეთი თბილისში და მოგვიგო. გამორიცხავთ, რომ ჩვენ ბუქარესტში გავიმარჯვოთ? ამიტომ ვფიქრობ, ჩვენ და რუმინელებს ერთნაირი შანსი გვაქვს. იმედი დღევანდელმა მატჩმაც გამიძლიერა. მიუხედავად იმისა, რომ ექვსი წამყვანი მოთამაშე გვაკლდა და თანაც ახალგაზრდებიც დაგვემატნენ, ნორმალურად ვითამაშეთ. რაც მთავარია, გამარჯვებისთვის ბოლომდე ვიბრძოლეთ. მართალია, ბევრი საგოლე მომენტი გავანიავეთ, მაგრამ ამასაც გამოვასწორებთ. ისე, ეს მოგება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანი იყო, რადგან რუმინეთთან შერცხვენის შემდეგ ზედიზედ მეორე საშინაო წარუმატებლობა იტალიასთან მატჩის წინ უარყოფითად იმოქმედებდა ჩვენზე. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და მჯერა, მომდევნო მატჩებშიც იგივე სულისკვეთებით ვიბრძოლებთ.

**ბაადა ძვანტალიანი**

## პრესკონფერენცია

***რიქარდ მიოლერ-ნილსენი (ისრაელის ნაკრების მწვრთნელი):***

— ვულოცავ საქართველოს ნაკრებს მოგებას. ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, ქართველებს კარგი გუნდი გყავთ. ჩვენ კი ფრესთან ახლოს ვიყავით და ეს შედეგი გაგვახარებდა, მაგრამ მატჩის ბოლოს მცველთა შეცდომამ წაგვაგებინა. ისრაელის ნაკრები ბურთს ვერ აკონტროლებდა, რაც შეიძლება სიცხეს დავაბრალოთ, ბიჭები მოდუნებულნი იყვნენ. თავს არ ვიმართლებთ, მაგრამ ისიც არის, რომ ჩვენ რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი გვაკლდა. ისინი რომ დაგვემატებიან, უკეთ ვითამაშებთ. ლიხტენშტაინთან შესარჩევ მატჩში ასეთი თამაშით არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს.

***რევაზ ძოძუაშვილი (საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი):***

— ახლა ამ მატჩში დაშვებულ შეცდომებს გავაანალიზებთ და იტალიელების დასახვედრად მოვემზადებით. ძალიან კარგი, რომ ნაკრების გამოცდილმა ფეხბურთელებმა დებიუტანტები თბილად მიიღეს. მე კმაყოფილი ვარ. კარგი იყო ქეცბაიას შორეული დარტყმებიც, ეს სხვათათვის სამაგალითო იქნება. გაიხსენეთ რუმინეთი, ორივე გოლი შორიდან გაგვიტანეს. თამაშისას აუცილებელია, რამდენჯერმე საჯარიმოს გარედანაც დაარტყა.

***დავით ყიფიანი (საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი):***

— ბევრი რეალური მომენტი ვერ გამოვიყენეთ და ამაზე დაფიქრება გვმართებს. პრინციპულ მატჩში ერთი მომენტის გაცუდება შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს, როგორც ეს რუმინეთთან იყო. კარგია, რომ ბიჭებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და როცა მეტოქემ ორჯერ გაგვითანაბრა ანგარიში, საბოლოოდ მაინც გავიმარჯვეთ. ვეცდებით, ის ბავშვური შეცდომები გამოვასწოროთ, რაც მცველებმა დღეს დაუშვეს. დებიუტანტებს კი, ვფიქრობ, ურიგოდ არ უთამაშიათ. მათ ჩათვალონ, რომ ავანსი მივეცით, ამას გამართლება უნდა. 9 მაისს აზერბაიჯანელებთან ალბათ ულეგიონერებოდ ვითამაშებთ. ჯანაშიას კი ჩვენ, მწვრთნელები, არ შევეხვეწებით ნაკრებში თამაშს.

## ინგლისი

### I დივიზიონი

გადადებული მატჩები

ბარნსლი — ტრანმერი 2:1; ფულემი — ვულვერჰემპტონი 2:0; გრიმსბი — ბლექბერნი 1:4; უიმბლდონი — ქრიუ 3:3

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები

პიტერბორო — უოლსოლი 2:0; ლუტონი — როტერჰემი 0:1; სუონსი — რექსჰემი 0:1; როვერსი — პორტვეილი გადაიდო

### III დივიზიონი

გადადებული მატჩები

მენსფილდი — კარდიფი 2:1; პლიმუთი — საუთენდი 3:3; ტორკი — დარლინგტონი 2:1; შრუსბერი — იორკი და ჰალიფაქსი — ბრაიტონი გადაიდო

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

მალტა 1:1 ისლანდია
ავსტრია 1:1 საფრანგეთი
ჰოლანდია 4:2 კვიპროსი

## ამხანაგური მატჩები

ირანი 0:1 კორეა
ეგვიპტე 3:0 კანადა

## ახალგაზრდულები

მაკედონია 0:1 ბულგარეთი
პოლონეთი 1:0 შოტლანდია
ჩეხეთი 7:0 ბელგია
ხორვატია 2:2 საბერძნეთი
შვეიცარია 2:2 შვედეთი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

# 5 ტური
მიმოხილვა

# დიდი შერიგება თუ ცილისწამება?

## I–VI ადგილები



დინამოელ გიორგი მიქაძეს ვიტელი ალეკო ინწკირველი ბურთს ეცილება

| დინამო 2:2 ვიტ ჯორჯია | | |
|---|---|---|
| 26 | დაჯარიმდა | 28 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 6 | კარში დარტყმა | 4 |
| 0 | თამაშგარე | 4 |

| ტორპედო 2:0 ლოკომოტივი | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 20 |
| 8 | კუთხური | 3 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 6 | კარში დარტყმა | 3 |
| 5 | თამაშგარე | 8 |

**„ტორპედო“** პირველ ადგილზეა. ვერ მოახდინა „ლოკომოტივმა“ სენსაცია. არადა, გამარჯვების არცთუ მცირე შანსი ჰქონდა გივი ნოდიას გუნდს. მსაჯმა მერაბ მალაღურაძემ პირველ ტაიმში, 0:0-ზე პენალტი დანიშნა მასპინძელთა კარში...

...რამდენიმე წელიწადი უთამაშიათ ერთად ირაკლი ზოიძესა და კახა გოგიჩაიშვილს. ალბათ, ქუთაისელთა მეკარემ იცოდა, რომელ კუთხეში დაარტყამდა რკინიგზელი ნახევარმცველი. ამას რომ თავი ვანებოთ, „ტორპედო“ ხომ სავსეა ყოფილი ლოკომოტიველებით. ბუნებრივია, თავიანთ მეკარეს მათაც ურჩიეს საგულისხმო ფაქტები.

შედეგი: ზოიძემ თერთმეტმეტრიანი მოიგერია, რიონისპირელებმა საპასუხოდ ორი გოლი გაიტანეს და გათამაშების ლიდერებადაც იქცნენ.

გახდა „ტორპედო“ ჩემპიონი? ჯერ ადრეა. წინ კიდევ ხუთი ტურია, თანაც „ლოკომოტივი“ შინ ელის უპირველეს კონკურენტს, მაგრამ რატომღაც არა გვგონია, ბოლო ტურამდე მიიყვანონ ქუთაისელებმა საჩემპიონო დავა.

დარჩენილი ტურების განრიგს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ რიონისპირელებს გაცილებით ხელსაყრელი კალენდარი აქვთ. „ტორპედო“ შინ ეთამაშება „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიას“ და „კოლხეთს“. გასვლითი მატჩები ელის „მერანთან“ და „ლოკომოტივთან“.

რკინიგზელები კი უნდა ესტუმრონ „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიას“ და „მერანს“, ხოლო „კოლხეთს“ და „ტორპედოს“ უმასპინძლებენ.

და მაინც, ჯერ ჩემპიონობაზე საუბარი ნაადრევია. არ დაივიწყოთ „დინამო“, რომლის პირველობისა რაღა მოგახსენოთ, მაგრამ ბევრის გამწარება კი შეუძლია. არც „ვიტ ჯორჯია“ ჩამოწეროთ, რომელსაც პრიზიორობის შანსი კიდევ შერჩენია და XII ჩემპიონატში „არმაზიდან“ არც „ტორპედო“, არც „ლოკომოტივი“ და „დინამო“ გახარებული არ გაუშვია.

ახალი კაცია იტალიელი ჯანი კარნევალი ვეტერინართა შორის. ბევრ რამეში გარკვევაც ვერ მოუსწრია. კარგად არც ფეხბურთელთა შესაძლებლობებს იცნობს და გუნდიც ფორმიდან ამოვარდნილი ჩაიბარა.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, „ვიტ ჯორჯიაც“ ბოლო ტურებში მეტად არასტაბილურად რომ თამაშობს. კარნევალის ცოტა უკეთ რომ ცნობოდა თავისი ფეხბურთელები, მაშინ შეცვლებსაც სხვაგვარს გააკეთებდა და არც ორბურთიანი უპირატესობა გაიფლანგებოდა. თუმც არა გვგონია, იტალიელის სასაყვედურო კლუბის თავკაცებს ჯერჯერობით რამე ჰქონდეთ.

„მე ვიცი, რომ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი მყავს, მაგრამ მთავარი მაინც გუნდური თამაშია. თანაც ცუდი ფიზიკური მომზადება დაღს ასვამს ჩვენს თამაშს“. კარნევალიმ იცის: „კიპიანი ხაროში, საჯაია ხაროში, გოგობერიშვილი, მელქაძე ხაროში“, დანარჩენები კი გადაღლილები არიანო.

„დინამოს“ ბრწყინვალედ არ უთამაშია და არც გამარჯვებას იმსახურებდა, მაგრამ მეტსაც ვერ მოსთხოვ ჩამოყალიბების გზაზე მდგომ ახალგაზრდა გუნდს. გოჩა ტყებუჩავამ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, თუ როგორ უჭირს მის გუნდს საწყის 30 წუთში. ფეხბურთელები სათანადოდ ვერ ერთვებიანო ბრძოლაში, მაგრამ არც მოთამაშეთა მონდომება დაუკარგავს, ზედიზედ მეორედ, ორბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა „დინამოს“ ხასიათის სიმტკიცეზე მიგვანიშნებსო.

როცა ორბურთიან დეფიციტს აღმოფხვრის და იმავ მატჩში გამარჯვებასაც მიაღწევს, აი, მაშინ იქნება „დინამო“ ნამდვილად საჩემპიონო გუნდი. წლეულს კი ძალიან დაიგვიანა ახალმა პატრონმა. თუმც ხომ ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

ათგზის ჩემპიონი დღეს თამაშს ხვეწს, ბაზაზე რემონტი მიმდინარეობს და კლუბიც ნელ-ნელა კლუბს ემსგავსება. შაბათს „ეროვნულზე“ მისულ ჟურნალისტებს არ დაგვჭირვებია მსაჯთა ოთახში შესვლა, ოქმიდან შემადგენლობის გადაწერა და ვილაცეების შეწუხება. მატჩის ოქმი პრეს-ლოჟაშივე მოგვართვეს. მეტოქეთა ფერადი ემბლემებით დამშვენებულ შემადგენლობასთან, მსაჯთა და მწვრთნელთა გვარ-სახელებთან ერთად საპრიზო ექვსეულის გათამაშების ცხრილიც თან ერთვოდა. რა ვუყოთ მერე, რომ კორექტურაც გამოერია და წლევანდელი შეჯიბრებაც მეცამეტედ მოინათლა. ვინც მუშაობს, ის შეიძლება შეცდეს კიდეც.

მოწინააღმდეგეთა შემადგენლობებს ადრე თსუ-ში არ დაგვამალიდნენ. ეს მაშინ, როცა მირიან ცხვარაძე პრეზიდენტობდა. ახლა „დინამოც“ აკეთებს იმას, რაც უნდა კეთდებოდეს. კარგი იქნება, თუ სხვა კლუბებიც ასე მოიქცევიან.

„მერანი“ — „კოლხეთი“... ჩვენთვის ამათი ურთიერთობები ძალიან კარგადაა ცნობილი. თითქმის მოსისხლე მტრებად ქცეულან ერთმანეთისთვის და ამ დაპირისპირებას უკვე რამდენიმე წელიწადია, ვუყურებთ.

...ავჭალაში თამაში ჩაწყობილი იყოო. არა, ეროვნულ ჩემპიონატში გასაკვირი უკვე არაფერია, მაგრამ მაინც საინტერესოა ის მოტივი, რის გამოც „მერანმა“ „კოლხეთს“ თამაში დაუთმო.

ის ვარიანტი, თითქოს მასპინძელს სტუმრის ვალი ჰქონდა (ასეთებიც ბლომად ყოფილა საქართველოს ჩემპიონატში), არარეალური ჩანს. „მერანისა“ და „კოლხეთის“ ხელმძღვანელები არ იყვნენ, პირველ ეტაპზე ერთმანეთის საცემრად რომ იწევდნენ?!

რატომ შეიტყვეს ავჭალელებმა და ფოთელებმა საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილება ჟურნალისტებისგან და რა მიზნით არ შეატყობინა ფედერაციამ?

თუ თენგიზ ქოიავას ვერწმუნებით, მაშინ მატჩის ინსპექტორ ბადრი ქარქაშაძეს თავის პატაკში მსგავსი არაფერი დაუწერია. თავად ქარქაშაძემ, გუშინ შინ რომ დავურეკეთ, კომენტარისგან თავი შეიკავა. „ხომ იცით, მე ადრეც არაფერზე არ ვლაპარაკობდი. ნუ გეწყინებათ, ფედერაციის პრესცენტრს მიმართეთო“.

ოთარ გაბელიამ ეს განაცხადა: „გაგიგიათ, ჩაწყობა მთავარი მწვრთნელის გარეშე ხდებოდეს?! მე დისკვალიფიცირებული ვიყავი, მაგრამ იქვე ვტრიალებდი. ასეთი ბინძური საქმისთვის ჩემთან მოსვლას ვერავინ გაბედავდა. თუ ეს სიმართლეა, ყველაფერი გამოიძიონ და მეც სიმართლის დადგენას მივემხრობიო“.

ყველაფერი კიდევ ერთხელ აირია. ჭორ-მართალი გადაიხლართა. ვიმეორებთ, გამორიცხული ჩვენს ჩემპიონატში არაფერია, მაგრამ ეჭვსაც რომ აღძრავს არაერთი ბრალდება თუ თავის მართლება, ხომ ფაქტია.

ბოლოს ერთსაც ვიკითხავთ. საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილება „მერანი“ — „კოლხეთის“ მატჩის ირგვლივ ფედერაციაში გუშინაც ბევრმა არ იცოდა. რატომ?

ქვედა ექვსეულისა რამე გაინტერესებთ? არა გვგონია, მაგრამ მაინც გეტყვით: „გორდა“ საკუთარ „ფოლადზე“ აგებდა. ძნელი გასახსენებელია ის დღე, როცა „იბერიამ“ პირველმა გაუტანა მეტოქეს. შაბათს მოახერხეს ეს გადედაქალაქებულმა სამტრედიელებმა, მაგრამ ბოლოს ისევ წაგებულნი დარჩნენ.

მოიგეს „სიონმა“ და „ბათუმმაც“. არც ერთს გასჭირვებია სამი ქულის მოპოვება. გათამაშების ცხრილის საშიშ ზონაში ჩაინაცვლეს თსუ-მ და „დილამ“.

სკანდალური გამოდგა დასკვნითი ეტაპის პირველი წრის ბოლო ტური. ფედერაციამ რაღაც იეჭვა და „მერან“ — „კოლხეთის“ მატჩის შედეგი არ დაამტკიცა.

შედეგად მეხუთე ტურს 6 გოლი და სტუმართა მოგება მოაკლდა. გარდა ამისა, თორმეტი გოლი და მასპინძელთა სრული უპირატესობა ვიხილეთ შაბათკვირას. სტუმართა ერთადერთი ქულის მომპოვებელი კი „ვიტ ჯორჯია“ გამოდგა.

**მამუკა ძგანტალიანი**

## VII–XII ადგილები

| ბათუმი 2:0 თსუ | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 17 |
| 3 | კუთხური | 2 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 5 | კარში დარტყმა | 1 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

| სიონი 1:0 დილა | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 14 |
| 6 | კუთხური | 0 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 3 | კარში დარტყმა | 1 |
| 4 | თამაშგარე | 0 |

**გორდა 2:1 იბერია**




საგანგებო კომიტეტმა სტუმარ-მასპინძელს გარჯა დაუწუნა. გიცულლუტიათო...

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 18 - ზირაქიშვილი | დინამო |
| 11 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 10 - რუსია | ლოკომოტივი |
| იონანიძე | ტორპედო |
| 9 - გადელია | დინამო |
| გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| ყულეჯიშვილი | ბათუმი |
| 8 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| ისიანი | სიონი |
| 7 - გ. გ. მიქაძე | დინამო |
| აფხაზავა | ბათუმი |

**სიმბოლური ნაკრები**

კოკა მიქუჩაძე — დინამო
ლევან მელქაძე — ვიტ ჯორჯია
ალეკო გოგოგერიშვილი — ვიტ ჯორჯია
მალხაზ ასათიანი — ტორპედო
გიორგი ჩიჩიანი — ვიტ ჯორჯია
ალეკო ქიტიაშვილი — გორდა
თორნიკე აფციაური — დინამო
გიორგი შაშიაშვილი — დინამო
ვალტერ გუგუა — ტორპედო
ვალერი აბრამიძე — ტორპედო
ირაკლი ზოიძე — ტორპედო

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 34 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 |
| 2 ლოკომოტივი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 33 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 3 დინამო | 5 | 1 | 4 | 0 | 7:6 | 1 | 31 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 26 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 |
| 5 კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 22 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 6 მერანი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:4 | -4 | 18 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | -4 | 1 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბათუმი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:2 | 4 | 22 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 3 | 5 |
| 2 გორდა | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 2 | 18 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 3 სიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 18 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 4 |
| 4 დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 16 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 5 თსუ | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 16 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | -6 | 0 |
| 6 იბერია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:16 | -12 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | -9 | 0 |




„ლეჩესთან“ გატანილი გოლი კალაძეს პირველმა შევჩენკომ მიულოცა

# კომპლიმენტების კალათი კალაძისთვის

## იეშუა ზედნიერების მოტივაციაა

**იტალიური** სერია A-ს ამბები ბოლო დროს ჩვენთვის სულ უფრო საინტერესო ხდება.

კახა კალაძე — საქართველოს ნაკრების წევრი, ლეგენდარული „მილანის“ თამამი დებიუტანტიდან გუნდის ერთ-ერთ ლიდერად გადაიქცა. უკვე ზედიზედ მეორე ტურია გოლი გააქვს, „ლეჩესთან“ მატჩში ხომ თავისიანებს სულაც ოქროს ქულა მოუპოვა. არადა, უკვე მსაჯის მიერ წამატებული დრო მიდიოდა და „მილანი“ კი 2:3 აგებდა.

„შავ-წითელთა“ ახალმა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ ჩვენებურისთვის თბილი სიტყვები არ დაიშურა: „კალაძე ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა. ის კარგად ართმევს თავს საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უჩვეულო ფუნქციის შესრულებას ვავალებთ. სამწუხაროდ, დღეს ნახევარდაცვაში გვიჭირს და კალაძეს ხან ალბერტინის, ხან ამბროზინის და ხან რედონდოს საქმეების კეთება უხდება“.

კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი უფრო გულგახსნილი და ემოციური იყო: „კალაძე დიდებული, მრავალმხრივი და სტაბილური მოთამაშეა. მის მიერ ბოლო ორ მატჩში გატანილი ორი გოლი მისი უდიდესი ნიჭის დასტურია“.

აი, ასე მოსწონთ ჩვენი კახა კალაძე. „მილანი“ კი ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მეოთხე ადგილს კვლავაც სამი ქულით ჩამორჩება.

ბუნდესლიგაში „ფრაიბურგი“ სასწაულებს აგრძელებს. წინა ტურში ხომ „ლევერკუზენი“ დაიფრინა და ახლა ჩემპიონთა ლიგაში გასვლის კიდევ ერთი კანდიდატი „კაიზერსლაუტერნი“ 5:2 დაამარცხა. ორი ქართველი, ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი თავისიანთაგან ახლაც გამოირჩეოდნენ და გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდეს. პირველი გოლი იაშვილის აქტიურობას მოჰყვა, „იაშკამ“ რუსი ბუტი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და 1:0. მისივე მონდომების შედეგი იყო მეორე გოლიც. ტაიმის ბოლოს კი კობიაშვილის ჯერიც დადგა. ლევანმა ანგარიში 5:0 გახადა... ლაუტერნელებმა ორი საპასუხო მეორე ტაიმში გაიტანეს.

ახლა „ფრაიბურგს“ 46 ქულა მოუგროვდა და უეფას თასზე მოხვედრის რეალური შანსი აქვს, თან ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მეოთხე ადგილს სულ ოთხი ქულით ჩამორჩება.

ისრაელში მთავარი ეტაპი, ანუ მესამე წრე დამთავრდა და ახლა პლეი ოფი დაიწყება. ბოლო ტურში კობა წიტაიშვილის „ირონიმ“, ახალი მწვრთნელის, „ცაფრირიმიდან“ გადასული იეშუა ფიგენბოიმის ხელმძღვანელობით სტუმრად თელ ავივის „ბნეი-იეჰუდა“ 2:1 დაამარცხა. ფიგენბოიმს თურმე „მისტერ მოტივაციას“ ეძახიან და გუნდში მისვლისთანავე ფეხბურთელებისთვის უთქვამს: მე მინდა ბედნიერები მალევე განახოთ, მაგალითად ორი ტურის შემდეგო...

„ირონიმ“ ცხრილში თავისთან ახლო მდგომ გუნდს მოუგო. პლეი ოფი 5 მაისს დაიწყება და წიტაიშვილის გუნდი „ქვედა პლეი ოფში“ შინ „აშდოდს“ ეთამაშება.

უკრაინაში სულ უფრო ცუდად მიდის კაპანაძეების, ჩომახიძისა და გვიანიძის „ნივას“ საქმეები — უკვე რამდენი ხანია ტერნოპოლელებს ქულა აღარ აუღიათ. ამჯერად კი კიევის „დინამოსთან“ სულაც 0:6 წააგეს, ბოლო ადგილზე მყარად დამკვიდრდნენ და ქვედა ლიგაში დაქვეითება, ალბათ, არ ასცდებათ.

სამაგიეროდ, როგორც იქნა, მოიგო გიგიაძისა და ტრაპაიძის „ტავრიამ“. სიმფეროპოლელებმა შინ „ვორსკლას“ 2:1 სძლიეს და ცხრილის შუაში მაგრად დგანან. გამარჯვების გოლი დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ვასილ გიგიაძემ გაიტანა. ქართველმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად დაარტყა.

„სკონტო“ კი ლატვიაში ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს. ამ უქმეებზე სკონტოელთა მსხვერპლი თანაქალაქელი „დაუგავა“ გახდა. 5:0 სტარკოვის ბიჭების სასარგებლოდ, თუმცა ამ ხუთიდან ქართველებს არცერთი გაუტანიათ.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლაუტერნი 5:2 | 90 | საგოლე პასი | 25 | 5 | 7 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლაუტერნი 5:2 | 90 | 1 გოლი | 26 | 8 | 7 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ლაუტერნი 5:2 | 0 | ტრავმირებულია | 20 | 0 | 7 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | ლაუტერნი 5:2 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ჰანზა 1:2 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 23 | 5 | 10 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | | | | წუხელ გვიან ითამაშა | 5 | 0 | 9 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | კიკერსი 5:0 | 0 | | 1 | 0 | 3 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ბრედფორდი 0:2 | 90 | | 21 | 1 | 17 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ჩარლტონი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 6 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | ბლექბერნი 0:0 | 54 | შეცვალეს | 18 | 3 | 14 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | რეინჯერსი 0:3 | 90 | | 31 | 2 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | რეინჯერსი 0:3 | 90 | | 3 | 0 | 6 |
| **იტალია** | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ლეჩე 3:3 | 90 | 1 გოლი | 11 | 2 | 6 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | შ | ვალიადოლიდი 3:1 | 0 | | 1 | 0 | 17 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | | | | ტური გამოტოვა | 21 | 13 | 4 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | ვალვაიკი 3:1 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | სტანდარდი 2:3 | 39 | გააფრთხილეს, გააძევეს | 26 | 1 | 9 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | ვესტერლო 1:2 | 0 | | 3 | 1 | 15 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | სიონი 1:1 | 77 | შეცვალეს | 28 | 9 | 4 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | სიონი 1:1 | 72 | 1 გოლი, შეცვალეს | 26 | 12 | 4 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | კრილია 1:2 | 70 | შეცვალეს | 6 | 2 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | შ | ზილი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ზურაბ ფოფხაძე | ალანია | ს | ცსკა 0:3 | 90 | | 5 | 0 | 15 |
| თორნიკე რუხაძე | ალანია | ს | ცსკა 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | როტორი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 16 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | ვორსკლა 2:1 | 90 | | 15 | 1 | 7 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ვორსკლა 2:1 | 89 | 1 გოლი პენ., შეცვალეს | 12 | 3 | 7 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | დინამო 0:6 | 0 | | 15 | 6 | 14 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | დინამო 0:6 | 0 | | 15 | 1 | 14 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | ს | დინამო 0:6 | 90 | | 14 | 1 | 14 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | დინამო 0:6 | 90 | | 9 | 2 | 14 |
| ლევან მიქაძე | ცსკა | ს | ზაპოროჟია 1:1 | 0 | | ? | 0 | 5 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | სტომილი 4:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 11 | 1 | 8 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი. რიშონი | ს | ბნეი-იეჰუდა 2:1 | 90 | | 27 | 12 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | შ | ოლიმპიაკოსი 1:5 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 17 | 2 | 12 |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | შ | არისი 4:1 | 90 | | 6 | 1 | 11 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | დაუგავა 5:0 | 90 | | 2 | 1 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | დაუგავა 5:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | დაუგავა 5:0 | 45 | შეცვალეს | 3 | 1 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | დაუგავა 5:0 | 0 | | 2 | 1 | 1 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | ს | დაუგავა 5:0 | 26 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 1 |
| თამაზ პერტია | რიგა | | | | ტური გამოტოვა | 0 | 0 | 5 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

**სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის, აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნა, ურთიერთობების პრობლემების მოგვარება.**

**მიღება წინასწარ ჩაწერით — 29-26-84.**

**კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,**

**დოცენტი ნატა გელოვანი**

**(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)**

# სახენაიარევი კაცი

## ჯანყი და წითლები გურიაში





იმან ამას დაარტყა... ავთანდილ შალამბერიძე და პაატა გამცემლიძე

**კვირას** ლანჩხუთის „ევგრაფი შევარდნაძეზე“ დიდი ვნებათაღელვა იყო. პირველი ლიგის ცენტრალურ მატჩში „გურია“ წნორის „მილანს“ მასპინძლობდა. შეხვედრის მე-40 წუთზე, როდესაც ანგარიში 0:0 იყო, სტუმართა ნახევარმცველმა პაატა გამცემლიძემ ღონივრად მოიქნია და... ლოყა გამსკდარი მატჩის არბიტრი მოედანზე დაეცა. ფეხბურთისას ფეხს ურტყამენ (ბურთს), „მილანელმა“ კი საქმეში მარჯვენა ხელი ჩართო და მიზნად მსაჯის თავი ირჩია. ისე თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ მიეშვათ, ფეხის ამუშავებასაც არ დაიზარებდაო...

უილბლოდ აეწყო ბოლოს ავთანდილ შალამბერიძის საქმე.

ამასწინათ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა ქუთაისელ არბიტრს „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩისას უყურადღებობა არ აპატია. გეხსომებათ, იმ მატჩში შალამბერიძეს სოსო გრიშიკაშვილის უმსგავსო საქციელი გამოეპარა. „დინამოს“ მეკარემ მეტოქე აქვსენტი გილაურს გაარტყა. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით მსაჯთა თავკაცის ანატოლი მილჩენკოს ვერდიქტი მკაცრი იყო. წითელი ბარათის არ ამოღებისთვის შალამბერიძე ერთი თვით პირველ ლიგაში დააქვეითეს. ჰოდა, ჩავიდა მომდევნო ტურში კაცი ლანჩხუთში, საჭირო მომენტში ამოიღო ჯიბიდან წითელი ბარათი და უკეთესი დღე არც ამჯერად დაადგა.

„ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. სტუმრებმა ერთ-ერთ ეპიზოდში თამაშის წესი დაარღვიეს, რისთვისაც ჯარიმა დავნიშნე. ამან გამცემლიძის უკმაყოფილება გამოიწვია და შემეკამათა, შედეგად ყვითელი ბარათი ვაჩვენე. ამაზე ლამის გაგიჟდა და გინება დამიწყო. სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის უმალ წითელი ავუფრიალე. არც დაფიქრებულა, განრისხებულმა უმალ გამარტყა, თამაშიც რამდენიმე წუთით შეწყდა“ — აი, ეს გვითხრა გუშინ სახენაიარევმა ქუთაისელმა მსაჯმა. სხვათა შორის, იმ მატჩში ერთხელაც მოუხდა წითელი ბარათის ამოღება — გურულმა კირკიტაძემ უსიტყვოდ დატოვა მოედანი.

პაატა გამცემლიძეს საგაზაფხულო ეტაპი ბოლნისურ „სიონში“ უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელებთან შეუთანხმებლად საწვრთნელ შეკრებას ნაადრევად ჩამოშორდა და წნორის „მილანში“ გადაბარგდა. ახლა კი, ეგებ ჩემპიონატი ვერც დაასრულოს ამ გუნდის შემადგენლობაში, რადგან სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტი მსგავს დარღვევებზე ერთობ მკაცრად რეაგირებს. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით კი დისციპლინარები დღეს შეიკრიბებიან.

**ბაატა ძვანტალიანი**


**იყიდება**

☎ (231) 7 17 58



ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"


# ქართველები კუნძულზე

**23-28 აპრილს** ინგლისი 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს უმასპინძლებს. სამწუხაროდ, დასკვნით ეტაპს ამ ასაკის საქართველოს ნაკრებმა ვერ უწია, მაგრამ ჩემპიონატი უქართველოდ მაინც არ ჩაივლის.

უეფას გადაწყვეტილებით, ინგლისში ჩემპიონატის მატჩების დირექტორობას სფფ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი დავით პეტრიაშვილი გასწევს. პეტრიაშვილს ამ საქმეში კარგი გამოცდილება აქვს მიღებული. როგორც იცით, იგი შარშან ჩემპიონთა ლიგის მატჩებსაც დირექტორობდა.

პირველ ივნისს დიდი ბრიტანეთის კუნძულზე იქნება ოთხი ქართველი მსაჯიც. უეფასვე გადაწყვეტილებით, ჩვენებურები უელსისა და პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩს მოემსახურებიან. კარდიფში ზუგდიდელ სერგო კვარაცხელიას ასისტენტობას სამტრედიელი ლევან მიქელაძე და ქუთაისელი კობა გაბრიაძე გაუწევენ. სათადარიგო არბიტრის ფუნქციებს კი თბილისელი ალექსანდრე შილაკაძე გასწევს.

ეს ოთხეული გუშინ საქართველო-ისრაელის ამხანაგურ მატჩსაც მოემსახურა.

**ბაატა ძვანტალიანი**


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# ინგლისში უძვირესი მსოფლიოში მეთერთმეტეა

# რუუდ ვან ნისტელროი: დიდი ფული და ხმაური

**ხანგრძლივი** ტრავმის შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა ახალგაზრდა ჰოლანდიელი მეგოლე რუუდ ვან ნისტელროი. დაბრუნება დიდი ხმაურითაც აღნიშნა. რა თქმა უნდა, ქვეყნის თასის ფინალში მონაწილეობას და დუბლის გახერხებას არ ვგულისხმობთ. რუუდმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" ინგლისისთვის სარეკორდო თანხის საფასურად ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

გახარებულია მანჩესტერელთა დიადი მწვრთნელი, სერ ალექს ფერგიუსონი: „ფრიად ნასიამოვნები გახლავართ ახალი შენაძენით. ჰოლანდიელის თამაშით დიდი ხანია, მოხიბლულნი ვიყავით. საზოგადოდ, თავდამსხმელი დღეს საკმაოდ ძვირად ფასობს, მაგრამ თანხის სოლიდურობას ის ამართლებს, რომ ჩვენ უმაღლესი კლასის და თანაც ახალგაზრდა ფორვარდი შევიძინეთ".

სერ ალექსმა და გუნდის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ შარშანდელ სეზონში სცადეს ახალგაზრდა ჰოლანდიელით „იუნაიტედის" შეტევის ხაზის გაძლიერება. ნისტელროითვის და ინგლისელთათვის სამწუხაროდ, ტრანსფერი ფეხბურთელის მუხლის ტრავმამ ჩაშალა. წლეულს კი, როდესაც პსვ-ს თავდამსხმელი ჩვეულად ათამაშდა და საუკეთესო ფორმასაც მიაღწია, მანჩესტერელებმა ოცნება აისრულეს.

„წითელი ეშმაკების" თავკაცობას არც ფული დანანებია. მათ „ეინდჰოვენს" თავდამსხმელის სანაცვლოდ ცხრამეტი მილიონი გირვანქა ჩაუთვალეს. „მანჩესტერ იუნაიტედი" რის „მანჩესტერ იუნაიტედია", თუ ინგლისში მაინც, ყველას ყველაფერში არ აჯობა. ოლდტრეფორდელებმა, რომლებსაც ბურთაობაში ბადალი არ ჰყავდათ, თავი სიმდიდრით და ხელგაშლილობითაც მოიწონეს. რუუდ ვან ნისტელროის სატრანსფერო ღირებულება რიო ფერდინანდის, აქამდე პრემიერლიგის უძვირეს ფეხბურთელის ფასს მილიონი გირვანქით აჭარბებს.

ნისტელროის დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ცნობილი ბუქმეიქერული კანტორა, მავანთა აზრით, საგაისოდ ჰოლანდიელს პრემიერლიგის ბომბარდირთა საპროგნოზო სიაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე მოათავსებს და აზარტის მოყვარულებს მასზე დიდი ფულის შოვნის საშუალებას არ მისცემს. და არა მარტო სათამაშო სახლებს, ჰოლანდიელისა ქომაგებს ეიმედებათ, ხოლო მეტოქეებს მუდმივად კარზე დაგეშილი ფეხმარდი ფორვარდი ფრიად აფიქრებთ. დენის ბერხკამპი, მართალია, გახარებულია კიდევ ერთი ჰოლანდიელის პრემიერლიგაში ხილვით, მაგრამ თვლის, რომ მუდმივი მტრის, „მანჩესტერ იუნაიტედის" შეტევის გაძლიერება „არსენალს" პრობლემებს შეუქმნის.

მანჩესტერელები რუუდს თავდასხმაში დუაიტ იორკს, ენდი კოულს, უბერებელ ტედი შერინგემსა და ოლე გუნარ სოლსკიაერს დაახვედრებენ. სერ ალექსი ჯერჯერობით რომელიმეს გაშვებაზე არაფერს ამბობს. მეტიც, შოტლანდიელმა წინა კვირას განაცხადა: „თავდამსხმელების გაყიდვას არ ვაპირებ, რადგან „იუნაიტედთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ყველა ეს მოთამაშე გამოგვადგება".

მეტი რა გზაა, ჰყავდეს სერ ალექსს ხუთი მრისხანე თავდამსხმელი. სჭირდება თუ არა, ეს უკვე მისი საქმეა და თავად უკეთ იცის. ჩვენ კი კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ რუუდ ვან ნისტელროი პრემიერლიგის უძვირესი ფეხბურთელია, ხოლო ევროპულ სატრანსფერო ბაზარზე იგი ოდენ მეთერთმეტე ადგილზე აღმოჩნდა. მისი ღირებულება ოდნავ, სულ რაღაც ნახევარი მილიონით ჩამოუვარდება ერთ დროს პირველი რონალდოს ფასს და ასევე მცირედით მეტია იმ თანხაზე, მეორე ბრაზილიელ ვარსკვლავ რივალდოში რომ გადაიხადა „ბარსელონამ".

**გიორგი გაგარდაშვილი**

### უძვირესი ტრანსფერები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ლუიშ ფიგუ | 2000 | ბარსელონა — რეალი | 56,1 |
| 2 | ერნან კრესპო | 2000 | პარმა — ლაციო | 54,1 |
| 3 | კრისტიან ვიერი | 1999 | ლაციო — ინტერი | 50,0 |
| 4 | ნიკოლა ანელკა | 1999 | არსენალი — რეალი | 35,7 |
| 5 | დენილსონი | 1997 | სან პაულუ — ბეტისი | 35,0 |
| 6 | გაბრიელ ბატისტუტა | 2000 | ფიორენტინა — რომა | 33,8 |
| 7 | მარსიო ამოროზო | 1999 | უდინეზე — პარმა | 33,1 |
| 8 | ნიკოლა ანელკა | 2000 | რეალი — პარი სენ ჟერმენი | 31,2 |
| 9 | კრისტიან ვიერი | 1998 | ატლეტიკო — ლაციო | 28,0 |
| 10 | რონალდო | 1997 | ბარსელონა — ინტერი | 27,9 |
| 11 | რუუდ ვან ნისტელროი | 2001 | პსვ — მანჩესტერ იუნაიტედი | 27,3 |
| 12 | რივალდო | 1997 | დეპორტივო — ბარსელონა | 26,7 |
| 13 | რიო ფერდინანდი | 2000 | ვესტ ჰემი — ლიდსი | 25,3 |
| 14 | ანდრეი შევჩენკო | 1999 | კიევის დინამო — მილანი | 25,0 |
| 15 | ალან შირერი | 1996 | ბლექბერნი — ნიუკასლი | 22,4 |
| 16 | ჯიმი ჰასელბანკი | 2000 | ატლეტიკო — ჩელსი | 22,4 |
| 17 | ჯანლუიჯი ლენტინი | 1992 | ტორინო — მილანი | 21,5 |
| 18 | დუაიტ იორკი | 1998 | ასტონ ვილა — მანჩესტერ იუნ. | 20,5 |
| 19 | რონალდო | 1996 | პსვ — ბარსელონა | 20.0 |
| 20 | მარსელო სალასი | 1998 | რივერ პლეიტი — ლაციო | 19,7 |
| 21 | ხუან სებასტიან ვერონი | 1998 | სამპდორია — პარმა | 19,7 |
| 22 | ჯანლუკა ვიალი | 1992 | სამპდორია — იუვენტუსი | 19,6 |



რუუდ ვან ნისტელროი

*დაიბადა 1976 წლის 1 ივლისს, ოსსში, ჰოლანდია.*

*1993 — გადავიდა „დენ ბოსხში", მანამდე თამაშობდა სამოყვარულო კლუბებში — „ნოიატ გედახტში" და „მარგრიეტში".*

*1997 — „დენ ბოსხში" ნათამაშევ ცამეტ მატჩში გაიტანა თორმეტი გოლი. გადავიდა „ჰერენვენში".*

*1998 — „ჰერენვენის" რიგებში ჩაატარა ოცდათერთმეტი მატჩი. გაიტანა ცამეტი გოლი. „პსვ ეინდჰოვენმა" ხუთ მილიონ დოლარად იყიდა. შედგა მისი სანაკრებო დებიუტი გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ.*

*1999 — გაიტანა პირველი (ჯერჯერობით ერთადერთი) სანაკრებო გოლი მარტოკოს ნაკრების კარში. პსვ-ს რიგებში ოცდათოთხმეტ მატჩში გაიტანა ოცდათერთმეტი გოლი. გახდა ჰოლანდიის წლის საუკეთესო ბომბარდირი, აგრეთვე ევროპის მეორე მეგოლე. დაასახელეს ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად.*

*2000 — დანიურ „სილკებორგთან" ამხანაგურ მატჩში მიიღო მუხლის ტრავმა. ოცდაცხრა ბურთით კვლავ ქვეყნის საუკეთესო მეგოლე გახდა. აპრილში 26,63 მილიონ დოლარად „მანჩესტერ იუნაიტედში" აპირებდა გადასვლას, მაგრამ ვარჯიშზე მუხლი დაიშავა და ფეხბურთს ათი თვით დაემშვიდობა.*

*2001 — მარტში დაუბრუნდა „ეინდჰოვენს", ითამაშა ჰოლანდიის თასის ფინალში და გაიტანა ორი გოლი. გამოიძახეს ეროვნულ ნაკრებში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კვიპროსის წინააღმდეგ სათამაშოდ. ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „მანჩესტერ იუნაიტედთან", რომელმაც ჰოლანდიელებს ინგლისისთვის სარეკორდო სატრანსფერო თანხა 19 მილიონი გირვანქა (27,34 მლნ დოლარი) გადაუხადეს.*




**იყიდება**

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მიშენებით, დიღმის მასივში, მე-4-ე კვარტალი, მე-19-ე კორპუსი, პირველი სართული.

**ფასი შეთანხმებით**

ტელ.: 95-90-32, 39-71-98, 877 42-82-83



**სარბიელი**

**სამუშაოდ იწვევს**

ჟურნალისტებს, გამოცდილთაც და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.

**მიღება მოხდება შერჩევით**

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14


## ავსტრია

30-ე ტური: ტიროლი — რაპიდი 1:1; ავსტრია — ადმირა 2:0; გრაცერი — რიდი 4:4; ლინცერი — შტურმი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 30 | 16 | 8 | 6 | 53:26 | 56 |
| რაპიდი | 30 | 13 | 10 | 7 | 51:34 | 49 |
| ავსტრია | 30 | 14 | 6 | 10 | 44:31 | 48 |
| შტურმი | 30 | 14 | 5 | 11 | 50:36 | 47 |
| გრაცერი | 30 | 12 | 8 | 10 | 41:34 | 44 |
| ზალცბურგი | 29 | 11 | 8 | 10 | 39:35 | 41 |
| რიდი | 30 | 11 | 7 | 12 | 42:43 | 40 |
| ლინცერი | 30 | 7 | 9 | 14 | 36:57 | 30 |
| ადმირა | 30 | 7 | 8 | 15 | 24:58 | 29 |
| ბრეგენცი | 29 | 7 | 5 | 17 | 33:59 | 26 |


**რეკლამა სარბიელ-ში**

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩები: კაენი — მარტიგი 1:2; შატორუ — გენიონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონპელიე | 35 | 18 | 13 | 4 | 50:22 | 67 |
| სოშო | 35 | 18 | 12 | 5 | 56:24 | 66 |
| ლორიანი | 34 | 18 | 10 | 6 | 50:31 | 64 |
| ნანსი | 35 | 15 | 9 | 11 | 45:29 | 54 |
| ლავალი | 35 | 15 | 8 | 12 | 37:35 | 53 |
| შატორუ | 33 | 13 | 13 | 7 | 46:30 | 52 |
| ნიორი | 34 | 13 | 13 | 8 | 53:40 | 52 |
| ნიმი | 34 | 13 | 11 | 10 | 48:45 | 50 |
| ლე ავრი | 34 | 12 | 13 | 9 | 43:38 | 49 |
| გენიონი | 35 | 11 | 11 | 13 | 37:46 | 44 |
| ლე მანი | 35 | 9 | 15 | 11 | 35:43 | 42 |
| ნიცა | 35 | 12 | 6 | 17 | 36:49 | 42 |
| აიაჩო | 35 | 11 | 8 | 16 | 28:37 | 41 |
| ბოვე | 34 | 9 | 13 | 12 | 34:39 | 40 |
| კრეტეი | 35 | 9 | 12 | 14 | 33:39 | 39 |
| ვალკეალი | 34 | 8 | 12 | 14 | 30:36 | 36 |
| კაენი | 33 | 9 | 9 | 15 | 31:48 | 36 |
| მარტიგი | 34 | 7 | 14 | 13 | 28:43 | 35 |
| კანი | 35 | 7 | 11 | 17 | 39:59 | 32 |
| ანჟერი | 34 | 5 | 11 | 18 | 29:55 | 26 |

## საბერძნეთი

26-ე ტური: პანაჰაიკი — არისი 4:1; ქსანტი — ირაკლისი 1:0; აეკ — ოფი 1:2; პაოკ — ათინაიკოსი 3:1; პანათინაიკოსი — ეთნიკოსი 2:0; პანილიაკოსი — იონიკოსი 1:0; კალამატა — პანიონიოსი 2:1

**პირეოსის** „ოლიმპიაკოსმა" წინა კვირას „იანინა" იოლად დაამარცხა და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეხუთედ ნაადრევად გაინაღდა. „ოლიმპიაკოსმა" ხუთი გოლი გაუტანა მეტოქეს, აქედან სამი ალეკოს ალექსანდრისის ანგარიშზეა, ხოლო თავად მხოლოდ ერთი გაუშვა.

ჩემპიონებს ახლა 71 ქულა აქვთ და სეზონის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე მდევარ „პანათინაიკოსს" 12 ქულით უსწრებენ. თეორიულად შესაძლებელია, რომ „პანათინაიკოსი" „ოლიმპიაკოსს" ქულებით გაუთანაბრდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, უკეთესის გამოსავლენად ურთიერთშეხვედრების დათვლა გახდება საჭირო. პირეოსელები კი ათენელებს სჯობნიან: მათ შინ გაიმარჯვეს, სტუმრად, დედაქალაქში კი ფრედ ითამაშეს. ამიტომაც გამოდის, რომ „პანათინაიკოსი" ლიდერს ველარ გაუსწრებს.

მატჩის გმირმა ალექსანდრისისმა უკვე მე-12 წუთზე შეასრულა ჰეთ თრიქი.

ისიც უნდა ითქვას, რომ „ოლიმპიაკოსს" ამ სეზონში დუბლის შესრულების ჩინებული შანსი აქვს, რადგან ქვეყნის თასის ფინალშიცაა გასული და 12 მაისს სალონიკის პაოკ-ს უნდა დაუპირისპირდეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ოლიმპიაკოსი** | 26 | 23 | 2 | 1 | 77:17 | 71 |
| პანათინაიკოსი | 26 | 18 | 5 | 3 | 50:14 | 59 |
| აეკ | 26 | 15 | 4 | 7 | 52:32 | 49 |
| პაოკ | 26 | 13 | 8 | 5 | 55:39 | 47 |
| ირაკლისი | 26 | 12 | 4 | 10 | 37:31 | 40 |
| იონიკოსი | 26 | 10 | 7 | 9 | 36:38 | 37 |
| არისი | 26 | 11 | 4 | 11 | 28:33 | 37 |
| ქსანტი | 26 | 10 | 4 | 12 | 18:30 | 34 |
| პანიონიოსი | 26 | 7 | 9 | 10 | 31:35 | 30 |
| პანაჰაიკი | 26 | 7 | 6 | 13 | 34:47 | 27 |
| ეთნიკოსი | 26 | 7 | 6 | 13 | 25:45 | 27 |
| იანინა | 26 | 6 | 8 | 12 | 34:47 | 26 |
| პანილიაკოსი | 26 | 6 | 8 | 12 | 23:36 | 26 |
| ოფი | 26 | 6 | 8 | 12 | 32:46 | 26 |
| კალამატა | 26 | 4 | 9 | 13 | 33:51 | 21 |
| ათინაიკოსი | 26 | 5 | 4 | 17 | 32:55 | 19 |

## ნორვეგია

მე-2 ტური: ვიკინგი — რუსენბორგი 4:3; ბრანი — მოსი 1:0; ლილესტრიომი — ბრინი 0:0; ლინი — სტრომსგოდსეტი 2:2; მოლდე — ბოდო გლიმტი 4:1; ოდ გრენლანდი — სოგნდალი 3:0; სტაბეკი — ტრომსო 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრომსო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ვიკინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:4 | 6 |
| ოდ გრენლანდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ლილესტრიომი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| მოლდე | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ბრანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| სტაბეკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| სოგნდალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| სტრომსგოდსეტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბრინი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბოდო გლიმტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| მოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## შვედეთი

მე-3 ტური: ჰაკენი — ჰამარბი 1:0; ნორჩიოპინგი — აიკ 1:3; ტრელებორგი — იორგრიტე 1:4; გიოტებორგი — იორებრო 3:1; იურგორდენი — მალმიო 0:4; ჰელსინგბორგი — სუნდსვალი 3:0; ჰალმსტადი — ელფსბორგი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| გიოტებორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ჰაკენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| იორგრიტე | 3 | 1 | 2 | 0 | 7:4 | 5 |
| ჰალმსტადი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:2 | 4 |
| ჰამარბი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| აიკ | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| სუნდსვალი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ელფსბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| ნორჩიოპინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| იორებრო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ტრელებორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| იურგორდენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

# ფერერი ძველ სკამზე დასვეს

## ბარსელონა დიდ ბარსელონელებს ჩააბარეს

*პირველი, რაც ხუან გასპარმა „ბარსელონას" პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გააკეთა, ლორენს სერა ფერერის მწვრთნელად დანიშვნა იყო. ვინ არ შემცდარა? თან მთლად შეცდომაც არ იყო, რადგან ფერერს გამოუცდელი არ ეთქმის, მაგრამ პრეზიდენტს პირველივე გადაწყვეტილების ნაუცბათევად შეცვლა არ სურდა და ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა კლუბის დირექტორატის წევრებს და ქომაგებს, რომლებსაც გული რა ხანია, ცუდს უგრძნობდათ.*

*მაგრამ დადგა დრო, როცა სალმა აზრმა გაიმარჯვა და პრეზიდენტიც დანებდა — ორშაბათს დახურულ კარს მიღმა დირექტორატის სამსაათიანი სხდომა ლორენს სერა ფერერის გადაყენებით დასრულდა.*


ლორენს სერა ფერერი

**თუმცა,** გუშინაც ვწერდით, ფერერი შორს არ წასულა, ძველ თანამდებობას, კლუბის ტექნიკურ დირექტორობას დაუბრუნდა და სადაც კონტრაქტით კიდევ ოთხი წელი იმუშავებს.

ორშაბათსვე მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად კარლოს რექსაჩი დაინიშნა, ხოლო მის თანაშემწედ ხოსე რამონ ალესანკო.

ეს რექსაჩის მეორედ მოსვლაა „ბარსელონას" მწვრთნელად. 1996 წელს იოჰან კრუიფის წასვლის შემდეგ ჰოლანდიელის თანაშემწემ პირველად ჩაიბარა გუნდი. ბოლო დრომდე რექსაჩი ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა და კიდევ საკითხავია, ეს გადაყვანა მისთვის ჯილდოა თუ არა. თავად რექსაჩი ამბობს, „ბარსელონა" ჩემთვის მეორე ოჯახია, ახალი თანამდებობის შიში არ მაქვს და ადამიანი ცხოვრებაში უშიშარი უნდა იყოსო. აქვე გავიხსენოთ, რომ კარლოს რექსაჩი „ბარსაში" 1965-1981 წლებში თამაშობდა.

ალესანკოსთვის კი ეს დანიშვნა აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია. მისი სამწვრთნელო კარიერა ოდენ რუმინეთში მუშაობით შემოიფარგლებოდა და რაც ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, ჩრდილში იყო მოქცეული. ფეხბურთელი კი დიდი იყო. ალესანკო ცამეტი წელი ირჯებოდა „ბარსასთვის", მისი კაპიტანი გახლდათ და ყველა უმაღლეს ჯილდოსაც დაეუფლა. 1992 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში „უემბლიზე", „სამპდორიას" წინააღმდეგ დამატებით დროში ის ახლანდელი კაპიტნის, გვარდიოლას ნაცვლად შევიდა და რამდენიმე წუთში უეფას პრეზიდენტისგან თასიც ჩაიბარა. ბარსელონელთა კაპიტანს ერთი რეკორდიც ეკუთვნის — 1980 წელს ბილბაოს „ატლეტიკს" კატალონიელებმა მასში ასი მილიონი პესეტა (538 ათასი დოლარი) გადაუხადა და ეს, რაც მაშინდელი ესპანური ფეხბურთისთვის გაუგონარი ამბავი იყო.

რაკი რეკორდზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, აღვნიშნოთ, რომ კარლოს რექსაჩს აქამდე ცოტა დააკლდა — მას „ბარსელონაში" 638 მატჩი ჩაუტარებია და მხოლოდ მიგელს ჩამორჩება.

ვინ იქნება შემდეგი მწვრთნელი? ამ კითხვის დასმა ნაადრევი სულაც არაა, რადგან რექსაჩისა და ალესანკოს მისია სეზონის დასრულებასთან ერთად ამოიწურება, იქამდე კი, აბა, რაღაა დარჩენილი.

თუ „ბარსელონა" ათამაშდა, ესპანეთის თასი მოიგო და ლიგის საგზური მოიპოვა, რექსაჩი ეგებ, დატოვონ კიდეც, თუმცა ხუან გასპარს ამის თაობაზე ჯერ არაფერი უთქვამს, სეზონის დასრულებამდე მოვიცდიო.

გავიხსენოთ, რომ კატალონიურ პრესაში ყოველდღიურად გაისმის ექტორ რაულ კუპერის, კარლოს ბიანკის, არსენ ვენგერის და ფაბიო კაპელოს სახელები. უფრო რეალური კი კუპერი ან ბიანკია, რადგან ვენგერმა და კაპელომ უკვე უარყვეს „ბარსელონას" შეთავაზება.

„დროა, ახალი გუნდის შენება დაიწყოს" — მოითხოვს ყველაზე გავლენიანი კატალონიური სპორტული გაზეთი „სპორტი" და თუ რექსაჩის გაისადაც დატოვება მოსალოდნელი ამბავია, „ბარსელონას" იგივე შემადგენლობით ხილვა წარმოუდგენელი.

უმთავრესი პეპ გვარდიოლას წასვლაა, ურომლისობაც აუცილებლად დაეტყობა „ბარსას". ფიქრობენ, რომ კლუბიდან დანი და ალფონსოც გადაბარგდებიან, რომელთა სატრანსფერო ფასად 27 მილიონ დოლარს ასახელებენ.

გაურკვეველია ბუდევინ ზენდენის ბედიც. იგი მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ზის, რაც მისი კლასის ფეხბურთელისთვის მიუღებელი უნდა იყოს.

და რივალდო. ბრაზილიელს კლუბიდან წასვლა არ სურს, მაგრამ ორი წლის შემდეგ, როცა მისი კონტრაქტის ვადა გასრულდება, დიდი შანსია, გაგრძელება აღარ ისურვოს — რივალდომ უკვე მიანიშნა ამაზე. ჰოდა, ხუან გასპარს ორი გზა აქვს — ან რივალდო ახალ კონტრაქტზე დაიყოლიოს ან დროზე გაყიდოს, სანამ ის თავისუფალი აგენტი გამხდარა. ამგვარ ვითარებაში ხმები რივალდოს „მილანში" ან სადმე სხვაგან გადასვლაზე უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

გვარიანად ჩახლართულა პატრიკ კლუივერტის საქმეც. ჰოლანდიელს „ბარსელონაში" დარჩენა აღარ სურს — მისი კონტრაქტი 30 ივნისს იწურება და ამბობენ, „მილანში" დაბრუნდებაო.

ლოგიკურ ჯაჭვს მივყვეთ: „ბარსელონას" არ ჰყავს კარგი მეკარე — „მილანის" კარის დარაჯმა კრისტიან აბიატიმ ჩეზარე მალდინის მისვლის შემდეგ გუნდზე გული აიყარა — „მილანი" ეძებს ოლივერ ბირჰოფის შემცვლელ თავდამსხმელს — კლუივერტი ძველი მილანელია და „ბარსელონადან" მიდის. ჯაჭვიც შეიკრა — კლუბები აბიატის და კლუივერტს გაცვლიან. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია.

მაგრამ „ბარსელონას" თავდამსხმელი არ უნდა? კატალონიელებმა წინასწარი შეთანხმება გააფორმეს „ბოკა ხუნიორსთან" ხუან რამონ რიკელმეს ყიდვის თაობაზე. ამ უაღრესად ნიჭიერ ფეხბურთელს კი რივალდოს შეცვლა შეუძლია. ამასთანავე, კატალონიელებს „რივერ პლეიტიდან" ხავიერ სავიოლას გადაყვანაც სურთ, რომელიც სამშობლოში მოთამაშეთაგან ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად ითვლება.

დაველოდოთ. „ბარსელონაში" კიდევ ბევრი რამ მოხდება, მწვრთნელი ხომ უკვე შეცვალეს.

**გიორგი დარჯანია**


კარლოს რექსაჩი და ხოსე რამონ ალესანკო საქმეს შეუდგნენ

# გერმანიის ახალი რეკორდი ბავარიულად

**წლევანდელი** საფეხბურთო სეზონი ბერლინის „ჰერტას" ნახევარმცველ სებასტიან დაისლერისთვის არცთუ წარმატებულად დაიწყო. დაისლერი ტრამვებმა გააწამა, რამაც, ცხადია, მის თამაშზეც იმოქმედა. თუმცა სეზონის ბოლოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ნახევარმცველი კლუბისა და ნაკრების შემადგენლობაში ჩინებულად ირჯება და გულშემატკივრებისა და სპეციალისტების მაღალ შეფასებებსაც იმსახურებს.

ალბათ, ამიტომაც დაუკავშირეს სებასტიან დაისლერის სახელი მიუნხენის „ბაიერნს". „ბილდმა" მკითხველს ბერლინელის ბავარიაში შესაძლო გადაბარგების შესახებ ამცნო. „ჰერტას" პრესმდივანმა დაადასტურა, რომ ფეხბურთელი მართლაც სტუმრობდა მიუნხენს, შემოწმებაც გაიარა, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

„ბილდის" ინფორმაციით, ბავარიელები სებასტიან დაისლერში გერმანიისთვის სარეკორდო თანხას, 18 მილიონ დოლარს გამოდიან.


სებასტიან დაისლერი

### ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „სანდერლენდი" „ევერტონის" ახალგაზრდა თავდამსხმელის, ფრენსის ჯეფერსის შესაძენად 8 მილიონ გირვანქასაც არ იშურებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ 20 წლის ფორვარდს ლივერპულელებთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ხოლო კლუბი მის გაყიდვას ჯერჯერობით არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ „სანდერლენდის" გარდა ჯეფერსს „მიდლსბრო", „ლიდს იუნაიტედი" და „ტოტენჰემიც" ეპატიჟებიან. ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშესთან „ევერტონი" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე აწარმოებს მოლაპარაკებას.

**ბოსნიელმა ნახევარმცველმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა მიუნხენის „ბაიერნთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა. ამით მან ბოლო მოუღო ჭორებს, თითქოს სეზონის ბოლოს გერმანიის ჩემპიონთა რიგებიდან წასვლას აპირებდა. ამბობდნენ, ბოსნიელი ესპანეთში გადავაო, რადგან მას მეუღლე ესპანელი ჰყავს. სალიჰამიჯიჩსა და „ბაიერნს" შორის გაფორმებული ახალი შეთანხმება ხუთწლიანია.**

**ინგლისელმა** მწვრთნელმა ბობი რობსონმა განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, „ნიუკასლ იუნაიტედში" „სანდერლენდის" ახალგაზრდა ფეხბურთელი ჯულიო არკა გადაიბიროს. 19 წლის არკას თამაში მას ამ ორ გუნდს შორის პრემიერლიგის ბოლო ტურის შეხვედრაში მოეწონა. „არკას ყიდვა კი მინდა, მაგრამ „სანდერლენდი" დიდ თანხას ითხოვს" — თქვა რობსონმა. „სანდერლენდის" თავკაცმა პიტერ რიდმა კი აღნიშნა: „არკა ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია. მის გაშვებას ჯერჯერობით არ ვაპირებთ".

**იტალიის ჩემპიონატის აუტსაიდერ „ბარის" მეკარე ატილიო გრეგორი ტრავმის გამო გუნდს დაახლოებით სამ კვირას ვერ დაეხმარება. მან სერია A-ს ბოლო ტურში „ბოლონიას" წინააღმდეგ კუნთი დაიჭიმა. აღსანიშნავია, რომ „ბარის" შემადგენლობაში ახლა ვერც ძირითადი გოლკიპერი ჟან ფრანსუა ჟილე თამაშობს, მას ტრავმა აქვს და თან დოპინგ-პრეპარატის მოხმარების გამო სადისციპლინო კომიტეტთან პრობლემები შეექმნა. „ბარის" კარს მომავალი სამი კვირით ანტონიო ნარჩიზო დაიცავს, რომელიც იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია და „ბარის" აღზრდილია.**

**ესპანური** კლუბები — „დეპორტივო" და „ვალენსია" ერთმანეთს ეცილებიან ურუგვაის ნაკრების მცველის, გონსალო სორონდოს გადაბირებაში. ფეხბურთელი „დეფენსორ სპორტინგში" თამაშობს და ამ კლუბის დირექტორთა საბჭომ ახლახან საგანგებო შეკრებაც კი მოაწყო იმის თაობაზე, გაეყიდათ თუ არა სორონდო ევროპაში. „დეფენსორს" სეზონის ბოლოს, სავარაუდოდ, ფეხბურთელი, დიეგო პერესი დატოვებს. იგი კარიერას მიუნხენის „ბაიერნში" ან სერია A-ს რომელიმე კლუბში გააგრძელებს.

**ბელგიის ჩემპიონატის ლიდერმა „ანდერლეხტმა" ეგვიპტის ნაკრების თავდამსხმელ ტარიკ ესლაიდი შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც ამ სეზონში კაიროს „ზამალექის" შემადგენლობაში 12 გოლის გატანა მოახერხა, ბრიუსელურ კლუბთან ხუთწლიან შეთანხმებას მოაწერა ხელი. ბელგიური სააგენტოების ცნობით, „ანდერლეხტმა" ეგვიპტელის სანაცვლოდ 2,2 მილიონი გირვანქა გადაიხადა.**

**ნორვეგიელმა** მცველმა ვეგარდ ჰეგემმა „ლივერპულის" სარეზერვო გუნდში თამაშისას ტრავმა გაიმიზეზა და მინდორს სეზონის ბოლომდე ველარ დაუბრუნდება. არადა, იგი სულ ახლახან გამოჯანმრთელდა და სარეაბილიტაციოდ სათადარიგო გუნდთან ერთად ემზადებოდა. მწვრთნელ ჟერარ ულიეს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ნორვეგიელი მალე ძირითად შემადგენლობაშიც დაბრუნდებოდა, მაგრამ ჰეგემს არ გაუმართლა. არ გამორიცხავენ, რომ მას ოპერაციაც დასჭირდეს.

**იტალიის ჩემპიონატის ლიდერი „რომა" და „მილანი" „პორტუს" ნახევარმცველის ნუნუ კაპუშუს შეძენით დაინტერესდნენ. რომაელებმა მისი თამაშის სანახავად პორტუგალიაში წარმომადგენლებიც გაგზავნეს და 10 მილიონ დოლარსაც იხდიან იმისთვის, რომ 20 წლის ფეხბურთელი ახალი სეზონიდან „სტადიო ოლიმპიკოზე" გადაიბირონ.**

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)





# ეგ ისე დარბის...
## ინკოგნიტო ექვმიტანილი მთელმა იტალიამ გამოიცნო: დოპინგი? რა თქმა უნდა, ედგარ დავიდსი!

**სამშაბათს** იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომლის ლაბორატორიაშიც სპორტსმენთა, მათ შორის ფეხბურთელთა ანალიზებს ამოწმებენ, განაცხადა, რომ სერია A-ს მავანი კლუბის მავან ფეხბურთელს სისხლში ნანდროლონის გვარიანი დოზა აღმოაჩნდა.

ოლიმპიელებს შეეძლოთ, მხილებულის ვინაობა არც დაემალათ, რადგან მაშინვე მთელი იტალია ალაპარაკდა, ედგარ დავიდსია ეგ კაცი, ჩვენც არ გვიკვირდა, 90 წუთი გიჟივით რომ დარბის და არ იღლება.

ჟურნალისტები „იუვენტუსის" ოფისს მიადგნენ და კომენტარი ითხოვეს. ასეთი პასუხი მიიღეს: რა იცით, რომ ედგარ დავიდსზეა ლაპარაკი, ოლიმპიურ კომიტეტს გვარი არ დაუსახელებია და გარწმუნებთ, სხვა ვინმე იქნებაო. იმავე საღამოს ოფიციალურად ითქვა, რომ დამნაშავე სწორედ „იუვენტუსის" ჰოლანდიელია.

ტურინელებსაც რაღა დარჩენოდათ, შეიცხადეს და გუშინ პრესკონფერენცია მოიწვიეს.

პრესკონფერენციისადმი ინტერესი დიდი იყო, ბოლოს და ბოლოს, ედგარ დავიდსია, ვიღაც უცნობი ფეხბურთელი ხომ არა.

ჟურნალისტების წინაშე თავად მხილებელი წარსდგა და თავი მოისაწყლა, დაუჯერებელი ამბავია, სად მე და სად დოპინგიო. „ყოველთვის ვზრახავდი დოპინგის მომხმარებლებს და ახლაც ასეა. ისინი ფეხბურთს ნამდვილ სახეს უკარგავენ და ყველანი ერთად უნდა შევებრძოლოთ. ანალიზები ხშირად ჩამიბარებია და არასდროს მეშინოდა, ხომ ვიცოდი, რომ სუფთა ვარ. 4 მარტსაც ასე იყო, შემოწმება ჩვეულებრივ გავიარე. ახლა კი ვიგებ, რომ ჩემს სისხლში რაღაც სუბსტანციები უპოვიათ. ამის ახსნა არ შემიძლია. დარწმუნებული ვარ, შეცდომაა" — თქვა დავიდსმა.

ჩვენ კი შევნიშნოთ, რომ განმეორებითმა შემოწმებამაც იგივე შედეგი თუ აჩვენა, ედგარ დავიდსს თექვსმეტთვიანი დისკვალიფიკაცია ელის.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

ედგარ დავიდსი: ნირწამხდარი და სისხლწამხდარი

## დოპინგ-სკანდალები იტალიურ ფეხბურთში

1998 ივლისი: „რომას" ჩეხმა მწვრთნელმა ზდენეკ ზემანმა ჟურნალ „ესპრესოს" ინტერვიუში განუცხადა, რომ იტალიურ ფეხბურთში დოპინგის ხმარება ჩვეულებრივი მოვლენაა. ზემანმა ორი გვარი დაასახელა — ჯანლუკა ვიალი და ალესანდრო დელ პიერო. ვიალიმ ზემანს ტერორისტი უწოდა და ორივე მხილებულმა მწვრთნელის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი წამოიწყო. იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ზემანს სადისციპლინო კომიტეტის წინაშე ბრალდებების დასაბუთება მოსთხოვა.

1998, 27 ივლისი: ოლიმპიურმა კომიტეტმა ფეხბურთელების შემოწმება დაიწყო.

1998, 9 აგვისტო: ტურინელმა მოსამართლე რაფაელ გვარინელომ ცალკე გამოძიება დაიწყო.

1998, 11 აგვისტო: ზემანმა ოლიმპიური კომიტეტს ჩვენება მისცა.

1998, 12 აგვისტო: ბოლონიის მაგისტრატურის განკარგულებით ადგილობრივმა პოლიციამ რეიდი მოაწყო ქალაქის აფთიაქებში. სამი დღის განმავლობაში დაიკითხა რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის დინო ბაჯო და ენრიკო კიეზა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დოპინგზე ნაკრების ყველა ფეხბურთელი შეამოწმა და აკრძალული პრეპარატები არავის აღმოაჩნდა.

1998, 29 აგვისტო: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუჩანო ნიცოლამ ჩვენება მისცა რაფაელ გვარინელოს.

1998, 4 სექტემბერი: ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი მარიო პესკანტეც გვარინელოს წინაშე წარსდგა.

1998, 8 სექტემბერი: ვიცე-პრემიერმა და სპორტის მინისტრმა ვალტერ ველტრონიმ სამთავრობო გამოძიების დაწყება ბრძანა.

1998, 19 სექტემბერი: ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო ლაბორატორია „აკვა აცეტოზადან" დოპინგ-ტესტებთან დაკავშირებული დოკუმენტები დაიკარგა.

1998, 28 სექტემბერი: „აკვა აცეტოზას" გარშემო ატეხილი სკანდალის გამო, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი მარიო პესკანტე თანამდებობიდან გადადგა.

1998, 1 ოქტომბერი: გამოქვეყნდა „პარმას" ფეხბურთელთა საზაფხულო შეკრებისას ჩატარებული ტესტების შედეგები. თითქმის ყველა ფეხბურთელს ორგანიზმში ჰემატოკრიტის დიდი დოზა აღმოაჩნდა. „პარმამ" შემოწმების შედეგებს გაყალბებული უწოდა და ლაბორატორიის წინააღმდეგ იჩივლა.

1998, 8 ოქტომბერი: „აკვა აცეტოზა" დაიხურა. პოლიციამ დაკარგული დოკუმენტები ლაბორატორიის სავენტილაციო ლუკში აღმოაჩინა.

1998, 14 ოქტომბერი: სამთავრობო კომისიამ მუშაობა დაასრულა და მასალები ვალტერ ველტრონის გადასცა, რომელმაც თავის მხრივ ფეხბურთის ფედერაციას შეუტია.

1998, 16 ოქტომბერი: რომში გავრცელდა ხმები, რომ 1992 წელს დიეგო მარადონას კოკაინის ხმარებაზე შემოწმების დადებითი პასუხი მცდარი იყო, რადგან არასტერილურ სინჯარებს კოკაინის კვალი ადრევე შერჩენოდა.

1998, 27 ნოემბერი: დიეგო მარადონა ტურინში ჩვენებას აძლევს რაფაელ გვარინელოს.

1998, 5 დეკემბერი: გვარინელოს უჩნდება ეჭვი, რომ სხვადასხვა დროს 40 ფეხბურთელის სიკვდილი დოპინგის ხმარების შედეგია.

1998, 16 დეკემბერი: ფეხბურთის ფედერაციის საუკუნოვან იუბილესადმი მიძღვნილ იტალიისა და მსოფლიოს ნაკრებებს შორის მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე უეფას ვიცე-პრეზიდენტი ანტონიო მატარეზე ოფიციალურად მოექცა გამოძიების თვალთახედვის არეში.

1998, 17 დეკემბერი: გამოძიებამ ეჭვმიტანილად დაასახელა ლუჩანო ნიცოლაც. დილით სამსახურში მისულ ნიცოლას ფინანსურმა პოლიციამ დადგენილება გადასცა.

1999, 16 იანვარი: გვარინელომ ისევ გააფართოვა გამოძიების არეალი და მსაჯებს გადასწვდა.

1999, 25 იანვარი: გვარინელოს ჩვენება მისცა მიშელ პლატინიმ. ამ დროისთვის მოსამართლეს უკვე ჰქონდა მარადონას, რობერტო ბაჯოს, დიდიე დეშამპის, კრისტიან კარამბეს, დენის ბერხკამპის, რობერტო მანჩინის, ალესანდრო ნესტას, ლილიან ტურამის და რუი კოშტას ჩვენებები.

1999, 15 ივნისი: გვარინელომ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯანი პეტრუცის ეჭვმიტანილ ფეხბურთელთა ორასკაციანი სია გადასცა, რომლებიც სერია A, B და C-ში თამაშობდნენ.

2000, 10 აპრილი: ნიცოლას, მატარეზეს და კიდევ შვიდ ოფიციალურ პირს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, საბუთების გაყალბების და დოპინგ-სკანდალში მონაწილეობის ბრალდება მოუხსნეს.

2000, 14 სექტემბერი: სერია B-ში „პესკარა" — „მონცას" მატჩის შემდეგ პესკარელ ანდრეა და როლდს სისხლში ნანდროლონი აღმოუჩინეს.

2000, 14 ოქტომბერი: „ლაციოსთან" მატჩის შემდეგ დოპინგის ხმარებაში ამხილეს პერუჯელები კრისტიანო ბუჩი და სალვადორე მონაკო.

2001, 22 თებერვალი: ბუჩის, მონაკოს და როლდს თექვსმეტთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

2001, 5 აპრილი: ლაციოელ ფერნანდო კოუტუს დოპინგის კვალი აღმოუჩინეს. ფეხბურთელი ამბობს, რომ არ იცის, რა წამლებს აძლევდნენ ექიმები.

2001, 21 აპრილი: ფერნანდო კოუტუს განმეორებითმა შემოწმებამაც დადებითი შედეგი აჩვენა.

2001, 23 აპრილი: ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იუვენტუსელ ედგარ დავიდსის ანალიზმა დადებითი პასუხი აჩვენა.

### არგენტინა

მე-13 ტური: რივერ პლეიტი — ხიმნასია (ლა პლატა) 3:3; ტალერესი — სან ლორენსო 0:3; ლანუსი — ნიუელს ოლდ ბოიზი 1:3; როსარიო სენტრალი — ბოკა ხუნიორსი 1:2; ალმაგრო — ბელგრანო 4:0; კოლონი — არგენტინოს ხუნიორსი 0:1; ესტუდიანტესი — ლოს ანდესი 0:0; ურაკანი — რასინგი 1:1; ველეს სარსფილდი — უნიონი 3:1; ინდეპენდიენტე — ჩაკარიტა ხუნიორსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 13 | 9 | 2 | 2 | 31:18 | 29 |
| სან ლორენსო | 13 | 9 | 2 | 2 | 28:16 | 29 |
| ბოკა ხუნიორსი | 13 | 6 | 3 | 4 | 21:19 | 21 |
| ჩაკარიტა | 13 | 6 | 3 | 4 | 13:14 | 21 |
| რასინგი | 13 | 5 | 5 | 3 | 13:13 | 20 |
| ალმაგრო | 13 | 5 | 5 | 3 | 20:11 | 20 |
| ოლდ ბოიზი | 13 | 6 | 2 | 5 | 21:18 | 20 |
| არგ. ხუნიორსი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:16 | 19 |
| ტალერესი | 13 | 6 | 1 | 6 | 17:18 | 19 |
| ურაკანი | 13 | 5 | 3 | 5 | 20:20 | 18 |
| ესტუდიანტესი | 13 | 4 | 5 | 4 | 14:16 | 17 |
| ველესი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:17 | 16 |
| ინდეპენდიენტე | 13 | 4 | 3 | 6 | 14:13 | 15 |
| კოლონი | 13 | 4 | 3 | 6 | 12:18 | 15 |
| ლანუსი | 13 | 4 | 2 | 7 | 22:22 | 14 |
| უნიონი | 13 | 4 | 2 | 7 | 20:23 | 14 |
| ლოს ანდესი | 13 | 3 | 5 | 5 | 16:22 | 14 |
| როსარიო | 13 | 3 | 4 | 6 | 17:22 | 13 |
| ხიმნასია | 13 | 3 | 5 | 6 | 15:20 | 11 |
| ბელგრანო | 13 | 2 | 5 | 6 | 7:18 | 11 |

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXX ტური

**დუისბურგი 0:2 მიონხენგლადბახი**

0:1 დემო (34), 0:2 კორზინეცი (87)

### ბელარუსი

თასის 1/4 ფინალი. I მატჩები

შახტიორი (სოლიგორსკი) — დინამო (მინსკი) 1:3; გომელი — ბელშინა (ბობრუისკი) 2:2; ვედრიჩ-97 (რეჩიცა) — ტორპედო-კადინო (მოგილიოვი) (II) 2:0; სლავია (მოზირი) — ბატე (ბორისოვი) 0:2

*საპასუხო მატჩები გაიმართება 2 მაისს*

### შოტლანდია

XXXIV ტური

**სენტ მირენი 2:1 დანდი იუნაიტედი**

0:1 ტომპსონი (53), 1:1, 2:1 ქილიე (70პ, 90)

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

### რუმინეთი

21-ე ტური: ნაციონალი — უნივერსიტატია 1:1; რაპიდი — ფორესტა 4:1; ოცელული — ბრაშოვი 3:1; ბაკეუ — პეტროლული 1:2; ასტრა — ჩაჰლაული 1:1; არჯეში — დინამო 1:0; გაც მეტანი — როკარი 1:1; სტიაუა — გლორია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 21 | 12 | 6 | 3 | 35:21 | 42 |
| არჯეში | 21 | 10 | 6 | 5 | 30:27 | 36 |
| დინამო | 21 | 10 | 5 | 6 | 39:32 | 35 |
| რაპიდი | 21 | 9 | 7 | 5 | 27:19 | 34 |
| პეტროლული | 21 | 10 | 3 | 8 | 27:22 | 33 |
| ბრაშოვი | 21 | 9 | 4 | 8 | 22:21 | 31 |
| ოცელული | 21 | 8 | 6 | 7 | 27:24 | 30 |
| გლორია | 21 | 9 | 3 | 9 | 32:31 | 30 |
| უნივერსიტატია | 21 | 8 | 6 | 7 | 22:25 | 30 |
| ასტრა | 21 | 8 | 1 | 9 | 27:23 | 28 |
| ფორესტა | 21 | 7 | 6 | 8 | 33:36 | 27 |
| ჩაჰლაული | 21 | 6 | 8 | 7 | 27:31 | 26 |
| როკარი | 21 | 7 | 4 | 10 | 30:37 | 25 |
| ნაციონალი | 21 | 7 | 3 | 11 | 26:33 | 24 |
| ბაკეუ | 21 | 5 | 5 | 11 | 25:35 | 20 |
| გაც მეტანი | 21 | 1 | 8 | 12 | 14:26 | 11 |

### ისრაელი

33-ე ტური: მაკაბი (თელ ავივი) — ჰაპოელი (თელ ავივი) 2:2; ბნეი იეჰუდა — ირონი 1:2; ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ფეთახ თიკვა) 0:0; ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) — მაკაბი (ჰაიფა) 2:3; ცაფრირიმი — აშდოდი 0:1; მაკაბი (ნეთანია) — ბეითარი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ჰაიფა | 33 | 22 | 10 | 1 | 61:22 | 76 |
| ჰ. თელ ავივი | 33 | 19 | 10 | 4 | 51:25 | 67 |
| ბეითარი | 33 | 18 | 8 | 7 | 44:26 | 62 |
| ჰ. ჰაიფა | 33 | 16 | 11 | 6 | 50:32 | 59 |
| მ. თელ ავივი | 33 | 15 | 10 | 8 | 57:32 | 55 |
| ჰ. ფეთახ თიკვა | 33 | 12 | 8 | 13 | 52:52 | 44 |
| მ. ფეთახ თიკვა | 33 | 10 | 8 | 15 | 35:40 | 38 |
| მ. ნეთანია | 33 | 10 | 8 | 15 | 45:51 | 38 |
| ირონი | 33 | 9 | 6 | 18 | 33:56 | 33 |
| აშდოდი | 33 | 8 | 7 | 18 | 36:49 | 31 |
| ბნეი იეჰუდა | 33 | 6 | 9 | 18 | 34:58 | 27 |
| ცაფრირიმი | 33 | 4 | 3 | 26 | 22:77 | 15 |

### ლიტვა

მე-5 ტური: ინკარასი — საკალასი 4:0; კაუნასი — ეკრანასი 2:0; ჟალგირისი — ატლანტასი 1:0; გელეჟინისი — ნევეჟისი 0:2; ვეტრა — დაინავა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 5 | 5 | 0 | 0 | 13:4 | 15 |
| ჟალგირისი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| ეკრანასი | 5 | 3 | 0 | 2 | 15:4 | 9 |
| ატლანტასი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 9 |
| საკალასი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:6 | 9 |
| ნევეჟესი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| ინკარასი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ვეტრა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:11 | 4 |
| გელეჟინისი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | 3 |
| დაინავა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:18 | 1 |

### უნგრეთი

II ეტაპი

მე-13 ტური: დიორ ეტო — ფერენცვაროში 0:0; უიპეშტი — დუნაფერი 3:2; ტატაბანია — ჰონვედი 0:1; ვიდეოტონი — ვაშაში 2:3; მტკ — შოპრონი 0:0; დებრეცენი — ზალაეგერსეგი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 13 | 8 | 4 | 1 | 24:5 | 32 |
| მტკ | 13 | 6 | 4 | 3 | 16:8 | 28 |
| უიპეშტი | 13 | 7 | 2 | 4 | 23:21 | 28 |
| ჰონვედი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:17 | 25 |
| დიორ ეტო | 13 | 6 | 4 | 3 | 16:13 | 24 |
| დუნაფერი | 13 | 6 | 1 | 6 | 18:23 | 24 |
| ვაშაში | 13 | 5 | 4 | 4 | 22:20 | 23 |
| ზალაეგერსეგი | 13 | 4 | 5 | 7 | 17:17 | 18 |
| ვიდეოტონი | 13 | 5 | 1 | 7 | 17:18 | 18 |
| შოპრონი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:17 | 17 |
| დებრეცენი | 13 | 3 | 0 | 10 | 18:31 | 12 |
| ტატაბანია | 13 | 1 | 1 | 11 | 9:29 | 10 |

*II ეტაპზე ქულები განახევრებულია*

### უკრაინა

მე-19 ტური: ტავრია — ვორსკლა 2:1; დნიპრო — სტალი 2:0; მეტალურგი (მარიუპოლი) — შახტარი 1:3; კრივბასი — მეტალისტი 2:1; დინამო — ნივა 6:0; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — ცსკა 1:1; კარპატი — მეტალურგი (დონეცკი) 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 19 | 14 | 4 | 1 | 49:16 | 46 |
| დინამო | 19 | 14 | 3 | 2 | 42:13 | 45 |
| დნიპრო | 19 | 12 | 4 | 3 | 26:14 | 40 |
| მ. დონეცკი | 19 | 9 | 8 | 2 | 24:15 | 35 |
| ცსკა | 19 | 8 | 8 | 3 | 26:13 | 32 |
| კარპატი | 19 | 8 | 2 | 9 | 29:30 | 26 |
| ტავრია | 19 | 5 | 9 | 5 | 17:19 | 24 |
| მ.ზაპოროჟიე | 19 | 6 | 6 | 7 | 23:26 | 24 |
| მ. მარიუპოლი | 19 | 6 | 4 | 9 | 20:25 | 22 |
| კრივბასი | 19 | 4 | 6 | 9 | 17:26 | 18 |
| მეტალისტი | 19 | 4 | 5 | 10 | 16:30 | 17 |
| ვორსკლა | 19 | 4 | 4 | 11 | 13:24 | 16 |
| სტალი | 19 | 2 | 4 | 13 | 14:37 | 10 |
| ნივა | 19 | 2 | 3 | 14 | 18:44 | 9 |

### პორტუგალია

XXIX ტური

**ბელენენსეში 4:2 ფარენსე**

0:1 კარლუშ ფერნანდესი (24), 1:1, 2:1 ნელსა ფერნანდესი (46, 54), 3:1 ვერონა (68), 3:2 სილვა (85პ), 4:2 გუგა სანტუში (87)

### იტალია

სერია B. XXXII ტური

**ვენეცია 2:1 ტერნანა**

1:0 მანიერო (23), 2:0 დი ნაპოლი (70), 2:1 გრაბი (79)

NBA. პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# კრაზანების გადაფრენა

**აღმოსავლეთი**

23 აპრილი

| | |
|---|---|
| მაიამი | 0 |
| შარლოტი | 2 |

**მაიამი 76:102 შარლოტი**

**მაიამი: ჯონსი (21), კარტერი (10)**
**შარლოტი: მაშბურნი (22), ვესლი (18), დევისი (18)**

მესამე მეოთხედის შუაწელს 17 ათასმა გულშემატკივარმა ერთსულოვნად დაუწყო სტვენა მასპინძელ გუნდს, მეოთხე მეოთხედის დასაწყისში დარბაზმა დაცლა იწყო, ხოლო როდესაც საფინალო სირენა გაისმა და სტუმარმა კალათბურთელებმა, მწვრთნელებმა და პირსახოცის მიმწოდებლებმა ერთმანეთს გამარჯვება მიულოცეს, დარბაზში ორიოდ ათასი კაცი თუღა იყო დარჩენილი. ისინიც იმიტომ შემორჩნენ თამაშს ამდენი ხნით, რომ მატჩის დაწყებამდე გადაჭედილი დარბაზი უცებ ვერ დაცარიელდა.

„მაიამი“ — „შარლოტის“ ეს მატჩი გაჭრილი ვაშლის ნახევარივით ჰგავდა წინამორბედს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მაშინ მაიამელებმა 26 ქულით წააგეს, ამჯერად სხვაობამ „ოდენ“ 16 ქულა შეადგინა, რაც თავისთავად ფლორიდელთა პროგრესზე მიუთითებს.

ხუმრობა იქით იყოს და პლეი ოფის დაწყებამდე „მაიამი ჰითს“ ლამის ფინალში გასვლას უწინასწარმეტყველებდნენ და ამის მთქმელთ ზურგს ალონზო მურნინგის და ედი ჯონსის დაბრუნება უმაგრებდათ. „მაიამი“ ამ ორი სუპერვარსკვლავის გარეშეც ძლიერი იყო და მათი დამატებით ხომ ლიგის შეზანზარებას აპირებდა.

პლეი ოფმა კი სხვაგვარად წარმოაჩინა ეს მშვენიერი გუნდი. პირველ შეხვედრაში ყველაფერი მესამე მეოთხედში გადაწყდა, რომლის საწყის წუთებში „შარლოტმა“ 20:2 იმარჯვა და მასპინძლებს პირში ჩალა გამოავლო. ზუსტად იგივე განმეორდა 23 აპრილსაც. უდაძაბულეს და თანაბარ ბრძოლაში წარმართული პირველი ნახევარი „შარლოტმა“ სულ ორი ქულით, 54:52 მოიგო, მესამე მეოთხედის საწყის წუთებში კი „კრაზანებმა“ მწარედ დაკბინეს გაოგნებული მასპინძლები, ერთი მონაკვეთი 24:5 მოუგეს და ექსფავორიტები მეორედ გაათახსირეს. მესამე მეოთხედში „შარლოტმა“ მეტოქეს შვიდი ქულა ჩააგდებინა, რაც მისთვის ყველა დროის რეკორდია, „მაიამისთვის“ კი ანტირეკორდი.

„ჰითის“ ლეგენდარული მწვრთნელი პატ რაილი ახლა იქნებ შოკშიცაა, მაგრამ სწრაფად მოუწევს გამოფხიზლება, თუმც ისიც უნდა აღიაროს, რომ მისმა გუნდმა რაც არ უნდა გაიჭიროს, 0:2 ჩამორჩენის შემდეგ სერიის მოგება ერთობ საეჭვოა. სერიაში ასეთი ჩამორჩენის შემდეგ გამარჯვება ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ ხუთ გუნდს თუ მოუხერხებია. ბოლოს ეს გმირობა 1994 წელს „დენვერმა“ ჩაიდინა. „შარლოტი“ ერთნახევარი ფეხით მეორე ეტაპზეა, რადგან მომდევნო ორი მატჩის (მეორე თუ საჭირო გახდა) ჩატარება შინ უწევს და ერთის მოგებაც ჰყოფნის.

და მაინც, შარლოტელები ფრთხილობენ: „მართალია, ჩვენ ორივე მატჩი იოლად მოვიგეთ, მაგრამ მოდით, წინასწარ ნურაფერს ვიტყვით. „მაიამი“ ძლიერი გუნდია. ვინც იცნობს პატ რაილის, იცის, რომ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი“ — თქვა ნამატჩევს მაიამელთა მთავარმა დამაქცევარმა, „შარლოტის“ ლიდერმა ჯამალ მაშბურნმა, რომელსაც ერთი წლის წინ „მაიამის“ მაისურა ემოსა და ისევე როგორც სერიის პირველ შეხვედრაში, ახლაც ყველაზე მეტად მან დააწიოკა ფლორიდელები.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| სან ანტონიო | 2 |
| მინესოტა | 0 |

**სან ანტონიო 86:69 მინესოტა**

**სან ანტონიო: დანკანი (18 ქულა, 11 მოხსნა), რობინსონი (16 ქულა, 11 მოხსნა), პორტერი (13)**
**მინესოტა: გარნეტი (18 ქულა, 12 მოხსნა), ელისი (15)**

მზიური მაიამისა არ იყოს, არც ჩრდილოურ მინეაპოლისში დაღამდა 23 აპრილი ბედნიერად. ტელევიზორებს მიმჯდარი ათეულობით ათასი მინეაპოლისელი ძრწოლვით ადევნებდა თვალს სან ანტონიოში მიმდინარე თამაშს, სადაც მათ ჯილას „მინესოტა ტიმბერვულვზს“ დაუნდობლად თელავდა მასპინძელი, მონსტრი „სან ანტონიო სპურზი“, მაგრამ ეს მხოლოდ პირველ ნახევარში. სანანტონიოელებმა მხოლოდ პირველ 24 წუთში მოიდინეს ოფლი და ვინაიდან ტაიმი 14 ქულის სხვაობით მოიგეს და მესამე მეოთხედში განვითარებული მოვლენებიც მხოლოდ მათ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, მასპინძლებმა თავს ლაზღანდარობის და სიცილ-ხარხარით თამაშის უფლება მისცეს.



REUTERS მაიამიდან

მაიამი — შარლოტი. შარლოტელმა ჯამალ მაშბურნმა კვლავ დააწიოკა ყოფილი გუნდი

დასავლეთში პირველ ნომრად განთესილმა და ჩემპიონის ტიტულის უპირველესმა მოპოტინემ „სან ანტონიომ“ გზა გაიკვალა შემდეგი ეტაპისკენ. სან ანტონიოში გამართულ ორივე თამაშში მოეცარა ხელი „მინესოტას“ და ახლა მშობლიურ მინეაპოლისში სცდის ბედს. საზოგადოდ, „მინესოტა“ ნებისმიერისთვის კერკეტ კაკლად ითვლება და უეჭველია, შინ, „ბუნაგში“, „მგლები“ კბილებით იომებენ, რათა მძლავრ მოწინააღმდეგეს თუნდაც ერთი გამარჯვება გამოჰგლიჯონ. თუმც საწყისი ორი მატჩის წაგება მათ დიდ იმედებს ვერ მისცემს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, პლეი ოფში ზედიზედ მეხუთედ მოხვედრილი „მინესოტა“ ზედიზედ მეხუთედვე პირველივე ეტაპიდან გამოეთიშება ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

**ირაკლი ფირაშვილი**

# აფრიკელი კოლექციონერი



დიკემბე მუტომბოს მოხსნებში ვერავინ ჯობს

**13 აპრილს,** რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებიდან ორიოდ დღის შემდეგ, გამოვლინდა პირველი ტიტულის, სეზონის საუკეთესო დამცველის მფლობელი. ეს ჯილდო, ცხადია, „ფილადელფია სიქსერზის“ კონგოელ ცენტრნს დიკემბე მუტომბოს ერგო და ეს რომ ასე იქნებოდა, ამას ნებისმიერი ამერიკელი ბიჭუნა იტყოდა ჯერ კიდევ სეზონის შუაგულში. მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ თირკმლის დაავადებასთან მებრძოლი ამ ტიტულის შარშანდელი და შარშანწინდელი მფლობელი მაიამელი ალონზო მურნინგი სეზონს გამოტოვებდა, მუტომბო თითქმის უკონკურენტოდ დარჩა. ეს გამოკითხვაშიც ნათლად გამოჩნდა. 123 ამერიკელი და კანადელი კალათბურთის მიმომხილველიდან ორმოცდარვამ აფრიკელ გიგანტს დაუჭირა მხარი, მეორეადგილოსან „მინესოტას“ თავდამსხმელ კევინ გარნეტს 26 ხმა ერგო, მესამეზე კი 14 ხმით „სან ანტონიოს“ თავდამსხმელ-ცენტრმა ტიმ დანკანმა მოიკალათა. დანარჩენი 35 ხმა ასე განაწილდა — დუგ კრისტი (საკრამენტო, 9 ხმა), ბენ ვოლესი (დეტროიტი, 6), დევიდ რობინსონი (სან ანტონიო, 6), თეო რეთლიფი (ატლანტა, 4), ბრიუს ბოუენი (მაიამი, 2), ენტონი მეისონი (მაიამი, 2), შაკილ ონილი (ლეიკერსი, 2), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი, 1), ალენ აივერსონი (ფილადელფია, 1), ჯეისონ კიდი (ფინიქსი, 1), შონ მარიონი (ფინიქსი, 1). მუტომბოს მთავარ მოცილედ კევინ გარნეტის ნაცვლად უცილებლად თეო რეთლიფი იქნებოდა, სეზონის შუაწელს ტრავმის გამო ნაადრევად რომ არ დაესრულებინა კონგოელთან ბრძოლა. საგულისხმოა, რომ თებერვალში „ფილადელფიამ“ და „ატლანტამ“ მუტომბო და რეთლიფი ერთმანეთში გაცვალეს.

218-სანტიმეტრიანი მუტომბო სეზონის საუკეთესო დამცველის ტიტულის კოლექციონერია. იგი ათი წელია, ნბაში თამაშობს და აქედან ოთხჯერ აღიარეს საკუთარ ნახევარზე ყველაზე მეტი სარგებლის მომტანად. ეს აბსოლუტური რეკორდი გახლავთ. 1983 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ეს ჯილდო არსებობს, იგი თერთმეტ კაცს რგებია. აქედან ხუთი მოთამაშე წყვილი ტიტულით ამაყობს, მაგრამ ისინი აბა, სად მივლენ ოთხგზის აღიარებულ დიკემბესთან. კანტიკუნტად მუტომბოს ლეგენდარულ ბილ რასელსაც კი ადარებენ. რასელის შემდეგ ასეთ გამოკვეთილ და ძლიერ დამცველს ნბა-ში ფეხი არ დაუდგამსო, ამბობენ სპეციალისტები. ასეცაა, მეტოქის ფართან უსუსური აფრიკელი, საკუთართან გაუვალ კედლად იქცევა და ეს ყველასთვის კარგა ხანია, ცნობილია. მის მიერ სეზონში მატჩში საშუალოდ მოგროვილი 10 ქულით არავინ გაკვირდება, სამაგიეროდ, იგი 13,5 მოხსნით მომხსნელთა სიას უდგას სათავეში და 2,71 დაფარებით მეხუთეა დამფარებლებში.

**ივანე ძოგბიაშვილი**

**სლოვენია**

I-VI ადგილები. XXVIII ტური

ოლიმპია — როგლა 89:59, კრაშკი ზიდარი — პივოვარნა 79:103

**სლოვანი 97:87 კრკა**

სლოვანი: ნოვაკი (13), ლაკოვიჩი (24), ჟაკელი (10), ტუღუში (9 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), უგრეხელიძე (18 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ჯურკოვიჩი (2), პავიჩი (14), ბოისა (30 წუთი, 14 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა), კოკალი (5), ცძიტიშვილი (24 წუთი, 7 ქულა, 6 მოხსნა)

კრკა: ანზულოვიჩი, იევტოვიჩი (2), დონჩიჩი (22), პეტროვი (17), დევისონი (2), გრუმი (17), დრობნიაკი (13), კორტნი (13), არაპოვიჩი (1)

XXIX ტური

კრკა — კრაშკი ზიდარი 107:84, პივოვარნა — როგლა 104:113

**სლოვანი 72:106 ოლიმპია**

სლოვანი: ნოვაკი (19), ლაკოვიჩი (8), ჟაკელი (7), ტუღუში (18 წუთი, 6 ქულა, 1 მოხსნა), უგრეხელიძე (5 წუთი, 1 ქულა, 2 მოხსნა), ჯურკოვიჩი (2), პავიჩი (15), ბოისა (23 წუთი, 14 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), კოკალი, ცძიტიშვილი (16 წუთი, 0 ქულა, 2 მოხსნა)

ოლიმპია: ველში (17), გოლემაცი (9), უდრიჰი (14), ბეჩიროვიჩი (17), მოდრიჩი, ბრეცი (2), ჯორდანი (11), კოტნიკი (11), ზაგორაცი (5), ჟუკაუსკასი (14), კოვაჩიჩი (6)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 29 | 27 | 2 | 2797:1937 | 56 |
| კრკა | 29 | 26 | 3 | 2624:2218 | 55 |
| პივოვარნა | 29 | 19 | 10 | 2591:2492 | 48 |
| სლოვანი | 29 | 17 | 12 | 2420:2343 | 46 |
| კრაშკი ზიდარი | 29 | 12 | 17 | 2179:2435 | 41 |
| როგლა | 29 | 12 | 17 | 2413:2617 | 41 |

**იტალია**

XXXIII ტური

ტრიესტი — ფორტიტუდო 68:83, ვარეზე — ბენეტონი 73:97, რიმინი — მიულერი 96:89, კინდერი — ადეკო 85:65, სნაიდერო — სკავოლინი 85:96, აეროპორტი — იმოლა 101:79, სიენა — კანტუ 77:66, რეჯანა — კორდივარი 115:104, მონტეკატინი — აველინო 97:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 33 | 28 | 5 | 2931:2475 | 61 |
| სკავოლინი | 33 | 24 | 9 | 2887:2659 | 57 |
| აეროპორტი | 33 | 24 | 9 | 2745:2600 | 57 |
| ფორტიტუდო | 33 | 23 | 10 | 2662:2409 | 56 |
| ბენეტონი | 33 | 23 | 10 | 2865:2659 | 56 |
| სიენა | 33 | 18 | 15 | 2716:2622 | 51 |
| სნაიდერო | 33 | 15 | 18 | 2748:2766 | 48 |
| კორდივარი | 33 | 15 | 18 | 2698:2716 | 48 |
| მიულერი | 33 | 15 | 18 | 2980:3036 | 48 |
| აველინო | 33 | 14 | 19 | 2721:2808 | 47 |
| ტრიესტი | 33 | 13 | 20 | 2604:2693 | 46 |
| მონტეკატინი | 33 | 13 | 20 | 2729:2864 | 46 |
| ვარეზე | 33 | 13 | 20 | 2948:3117 | 46 |
| ადეკო | 33 | 13 | 20 | 2778:2991 | 46 |
| რეჯანა | 33 | 12 | 21 | 2853:2954 | 45 |
| კანტუ | 33 | 12 | 21 | 2597:2731 | 45 |
| რიმინი | 33 | 11 | 22 | 2839:2938 | 44 |
| იმოლა | 33 | 11 | 22 | 2813:3016 | 44 |

**ესპანეთი**

XXIX ტური

ხირონა — ტაუ 58:87, პამესა — კანარიასი 80:77, კოსტაბლანკა — ფუენლაბრადა 66:71, ბრეოგანი — უნიკახა 93:95, ესტუდიანტესი — კანტაბრია 96:72, ფორუმი — რეალი 81:101, ბარსელონა — კახა სან ფერნანდო 90:84, ორენსე — ხიხონი 68:75, კასერესი — ხუვენტუდი 98:83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 29 | 24 | 5 | 2569:2231 | 53 |
| რეალი | 29 | 24 | 5 | 2366:2111 | 53 |
| ტაუ | 29 | 23 | 6 | 2469:2089 | 52 |
| უნიკახა | 29 | 23 | 6 | 2465:2222 | 52 |
| პამესა | 29 | 19 | 10 | 2373:2229 | 48 |
| ფუენლაბრადა | 29 | 17 | 12 | 2326:2251 | 46 |
| ესტუდიანტესი | 29 | 17 | 12 | 2344:2289 | 46 |
| ფორუმი | 29 | 14 | 15 | 2368:2356 | 43 |
| ხირონა | 29 | 13 | 16 | 2286:2335 | 42 |
| კასერესი | 29 | 13 | 16 | 2232:2298 | 42 |
| სან ფერნანდო | 29 | 12 | 17 | 2225:2263 | 41 |
| კანარიასი | 29 | 11 | 18 | 2217:2391 | 40 |
| ბრეოგანი | 29 | 10 | 19 | 2273:2348 | 39 |
| ხუვენტუდი | 29 | 10 | 19 | 2311:2403 | 39 |
| ხიხონი | 29 | 9 | 20 | 2224:2378 | 38 |
| კანტაბრია | 29 | 9 | 20 | 2154:2497 | 38 |
| კოსტაბლანკა | 29 | 7 | 22 | 2159:2433 | 36 |
| ორენსე | 29 | 6 | 23 | 2200:2435 | 35 |

## საფრანგეთი



ლე მანი — ვილერბანი. შონტა როჯერსი (ბურთით) ვილერბანელი ლორან სკიარას წინააღმდეგ

# რასინგს თურქჯანის ჯანი არ ეყო

XXVII ტური

**დიჟონი — მონპელიე 70:68, ბურგი — გრაველინი 87:80, ანტიბი — ლე ავრი 104:83, პო ორტეზი — რასინგი 92:82, ბეზანსონი — სტრასბური 59:96, ევრე — ნანსი 80:84, შოლე — შალონი 67:63, ლე მანი — ვილერბანი 87:79**

ცსკა-მ სუპერლიგიდან რომ გამოაგდო, ეს „ვილერბანმა" მძიმედ გადაიტანა და შინაურ ჩემპიონატში მეოთხე მარცხი იწვნია. ამჯერად „ლე მანმა" აჯობა, რომელიც ჩემპიონატის დასაწყისში კარგა ხანს მასთან ერთად დაუმარცხებლად ლიდერობდა. არადა, თავიდან ვილერბანელები დაწინაურდნენ, რაც ელვარდსისა (18 ქულა) და ბილბას (17 ქულა) დამსახურებაა. თანაც ისინი მეტოქეს ფარზეც ჯაბნიდნენ (37:25) და ამიტომაც ტაიმიც მოიგეს (40:35).

თუმცა 6 ათასი ქომაგის მიერ გამხნევებულმა ვენსან კოლეს შეგირდებმა მეორე ტაიმში შეძლეს თამაშის ბედის შემობრუნება. განსაკუთრებით კინგი (28 ქულა) გამოირჩა, რომელიც შეხვედრის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. მას კარგად აუბა მხარი ასჩერიჩმაც, რომელმაც ოთხიდან სამი სამქულიანი ჩააგდო და „ლე მანიც" დაწინაურდა. გრეგ ბენიომ თავისი გუნდის თამაშის გამოსწორება პირველ რიგში შეტევაში სცადა და ახალტრავმამოშუშებული იან ბონატო ჩართო მატჩში, რომელსაც შემოდგომის მერე აღარ ეთამაშა. ყოფილმა ლიმოჟელმა მოედანზე 13 წუთი გაატარა და თავისიანებს 5 ქულით შეეწია, მაგრამ ეს მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ტურის ყველაზე დიდი სხვაობა ბეზანსონში დაფიქსირდა, სადაც მეორეადგილოსანი „სტრასბური" სტუმრობდა. მატჩის ბედი ფაქტობრივად საწყის ოთხ წუთში გადაწყდა, როცა ალზასელები 14:2 დაწინაურდნენ. ეს, რა თქმა უნდა, საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ იქნებოდა, მაგრამ გუნდების დონეებს შორის იმხელა სხვაობა იყო... და საერთოდ, „ბეზანსონმა" პირველ მეოთხედში მხოლოდ 8 ქულას მოუყარა თავი, ტაიმში კი 43 სროლიდან მხოლოდ 8 ჩააგდო და 23:53 წააგო. 32-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა უკვე 41 ქულა იყო (81:40), რის შემდეგაც სტრასბურელები ცოტათი მოდუნდნენ და მეტოქეს მცირედით მიახლოების საშუალებაც მისცეს.

მოიგო მოწინავე ოთხეულის კიდევ ერთმა წევრმა „პო ორტეზმა", რომელსაც თავიდან საკმაოდ გაუჭირდა პარიზელებთან. „რასინგში" საუკეთესო თურქი ლეგიონერი მირსად თურქჯანი იყო, რომელმაც 28 ქულა მოიხვეჭა, მაგრამ ეს პოელთა დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. მასპინძლები მოწინააღმდეგეს ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაშიც დაეჩაგვრნინენ, მაგრამ საშუალო და ახლო მანძილებიდან უკეთ ისროდნენ და ტაიმი 56:44 მოიგეს. ამ უპირატესობის შენარჩუნება „პო ორტეზმა" იოლად შეძლო. მეტიც, მესამე მეოთხედის ბოლოს ის 78:55 იგებდა, მაგრამ მერე დამშვიდდა და მატჩი გამარჯვებამდე წყნარად მიიყვანა.

იგივეს თქმა არ შეიძლება „დიჟონზე", რომელმაც „მონპელიესთან" გვარიანი შიში ჭამა. მასპინძლებმა შეხვედრა უკეთ დაიწყეს და დაახლოებით 10-12 ქულიან უპირატესობასაც კარგა ხნის მანძილზე ფლობდნენ, მაგრამ მეორე ტაიმის დებიუტში მეტოქეს დაუთმეს ინიციატივა და ანგარიშშიც სწორედ ის გაუშვეს წინ — 51:48 (27-ე წუთი). თუმცა მერე მაინც გამოფხიზლდნენ და საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე ბერგერსენმა გამარჯვების მომტანი სამქულიანი ჩააგდო.

მომავალ ტურში ორი ცენტრალური მატჩია, რადგან მოწინავე ოთხეული დაწყვილდება. „პო ორტეზი" „ვილერბანს" ესტუმრება, „სტრასბური" კი „ლე მანს" მიიღებს და ფრიადი ბრძოლებიცაა მოსალოდნელი. ვნახოთ, ეგებ „ვილერბანმა" ახლა მაინც გაინაღდოს რეგულარულ ჩემპიონატში პირველობა, რაც წესით ორი ტურის წინ უნდა გაეკეთებინა.

**ბაგი ბურული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 27 | 23 | 4 | 2254:1924 | 50 |
| სტრასბური | 27 | 20 | 7 | 2269:2018 | 47 |
| პო ორტეზი | 27 | 19 | 8 | 2246:2014 | 46 |
| ლე მანი | 27 | 19 | 8 | 2338:2237 | 46 |
| დიჟონი | 27 | 17 | 10 | 2092:1940 | 44 |
| შალონი | 27 | 16 | 11 | 1958:1869 | 43 |
| ნანსი | 27 | 16 | 11 | 2154:2089 | 43 |
| რასინგი | 27 | 14 | 13 | 2082:2045 | 41 |
| შოლე | 27 | 13 | 14 | 2135:2098 | 40 |
| ანტიბი | 27 | 11 | 16 | 2141:2140 | 38 |
| ბურგი | 27 | 11 | 16 | 2073:2172 | 38 |
| გრაველინი | 26 | 11 | 15 | 2178:2230 | 37 |
| მონპელიე | 27 | 8 | 19 | 2132:2336 | 35 |
| ევრე | 27 | 6 | 21 | 2047:2316 | 33 |
| ლე ავრი | 26 | 6 | 20 | 2014:2308 | 32 |
| ბეზანსონი | 27 | 5 | 22 | 1903:2280 | 32 |

## საბერძნეთი

XXIII ტური

**არისი — მილონი 92:67, პანიონიოსი — პერისტერი 86:82, დაფნი — ნიარ ისტი 72:75, პაოკ — ირაკლისი 83:85, მარუსი — მაკედონიკოსი 112:81, პანათინაიკოსი — აეკ 68:59, ირაკლიონი — ოლიმპიაკოსი 73:76**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 23 | 20 | 3 | 1946:1637 | 43 |
| პერისტერი | 23 | 19 | 4 | 1864:1653 | 42 |
| ოლიმპიაკოსი | 23 | 19 | 4 | 1907:1709 | 42 |
| აეკ | 23 | 18 | 5 | 1937:1707 | 41 |
| პანიონიოსი | 23 | 14 | 9 | 1981:1819 | 37 |
| ირაკლისი | 23 | 14 | 9 | 1899:1893 | 37 |
| პაოკ | 23 | 12 | 11 | 1728:1768 | 35 |
| მარუსი | 23 | 11 | 12 | 1997:1940 | 34 |
| ირაკლიონი | 23 | 8 | 15 | 1897:1993 | 31 |
| ნიარ ისტი | 23 | 7 | 16 | 1791:1936 | 30 |
| დაფნი | 23 | 7 | 16 | 1820:1912 | 30 |
| არისი | 23 | 7 | 16 | 1741:1925 | 30 |
| მილონი | 23 | 4 | 19 | 1829:2144 | 27 |
| მაკედონიკოსი | 23 | 1 | 22 | 1746:2047 | 24 |



# ელდარის ელდორადო

## ბუდაპეშტი კურტანიძის ოქროს ქალაქია

*ელდარ კურტანიძე ევროპის ჩემპიონი პირველად 1996 წელს გახდა ბუდაპეშტში. რას იფიქრებდა მაშინ ელდარი, თუკი მეოთხე კონტინენტურ ოქროსაც იქვე მოიპოვებდა, ოღონდ ხუთი წლის შემდეგ.*

*მოგეხსენებათ, 19-22 აპრილს უნგრეთის დედაქალაქმა თავისუფალი ჭიდაობის ევროპის 44-ე ჩემპიონატს უმასპინძლა. მასში საქართველოს ნაკრებმა გუნდური III ადგილი მოიპოვა. ამაში უდიდესი წვლილი ელდარ კურტანიძეს მიუძღვის.*

*ბუდაპეშტიდან ჩამოფრენისთანავე მას ინტერვიუ ვთხოვეთ.*

**— თქვენ მეოთხედ გახდით ევროპის ჩემპიონი. როდის უფრო იოლად მიაღწიეთ ამ წარმატებას, 1996-97-98 წლებში თუ ახლა?**

— როგორ გითხრათ, ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა იოლი არასდროს ყოფილა, თუმც უნდა აღინიშნოს, რომ ბუდაპეშტის ევროპის პირველობა ჩემთვის გაცილებით საინტერესო იყო. მით უმეტეს, რომ ავისრულე ის ნატვრა, რომელიც წლის დასაწყისში მქონდა — გავხდი XXI საუკუნის საქართველოს პირველი ევროპის ჩემპიონი. მინდა, ეს გამარჯვება საქართველოს იმ კუთხეს მივუძღვნა, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია. კუთხეს, სადაც მამაჩემის ძვლები მეგულება.

**— მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ხართ, მაგრამ ამ შეჯიბრებებზე „ოქროს" მოისაკლისებთ. როგორ ფიქრობთ, წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნავსი გატყდება?**

— წინასწარ თქმა ძნელია, თუმც ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რათა ნავსი გატყდეს და ნიუ იორკიდან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით დავბრუნდე. ამ მიზნის მისაღწევად ძალღონეს არ დავიშურებ.

**— ვიცით, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობაზე ფიქრობთ. ასეთივე მიზნები გქონდათ ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიადების დაწყებამდე, მაგრამ იქიდან ორჯერვე ბრინჯაოს მედლით დაბრუნდით. როგორ ფიქრობთ, ოქროს მედლისთვის ბრძოლა ათენში უფრო ხომ არ გაძნელდება?**

— ყველა ასპარეზობა თავისთავად რთულია. მით უმეტეს, ოლიმპიური თამაშები. ნებისმიერი სპორტსმენის ნატვრაა, კარიერა ღირსეულად დაასრულოს, ამისთვის კი უმაღლესი ჯილდოს — ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებაა საჭირო. მეც მინდა, ჩემი სპორტული კარიერა ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტულით დავაგვირგვინო.

**გიგა გურასპაშვილი**



ბუდაპეშტური პოდიუმი: გიორგი გოგშელიძე (მეორე ადგილი, რუსეთი), ჩემპიონი ელდარ კურტანიძე და ბელარუსი ალექსანდრ სერმანოვი

# შევიკრიბეთ და ძალაც მოვიკრიბეთ

*საქართველოს სპორტის გულშემატკივართა ბოლოდროინდელ გამოცოცხლებაში უდიდესი წვლილი, რა თქმა უნდა, ბორჯღალოსნებს მიუძღვით. ევროპის ერთა თასის მოპოვებამ, ეტყობა, ყველაზე დადებითად იმოქმედა. უფროსებს ჭაბუკმა მორაგბეებმაც აუბეს მხარი და მსოფლიოს თასის გათამაშებაში წარმატებისათვის მომავალი წლიდან ელიტაში აღზევდებიან. მათ არც კადეტ კალათბურთელთა ნაკრები ჩამორჩა. მან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პირველობა არავის დაუთმო და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებაც მოიპოვა.*

*დიდი ხანია, საქართველოს წარმატებათა ასეთი სერია მიჯრით არ ჰქონია და ისე როგორ იქნებოდა, ქართველ ფალავნებსაც არ გამოეჩინათ თავი. მათ ბუდაპეშტში გამართულ თავისუფალ სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე სამივე ხარისხის თითო მედალი მოიპოვეს. ბუდაპეშტიდან დაბრუნებულთ გუშინ აეროპორტში დავხვდით.*

*გთავაზობთ ინტერვიუს ნაკრების უფროს მწვრთნელ ზაზა თურმანიძესთან.*



ზაზა თურმანიძე

**— ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისის პერიოდში ოთხი შეკრება გაიარეთ და ასეთი თადარიგით ალბათ უკმაყოფილო არ უნდა იყოთ?**

— ამაზე შედეგიც მეტყველებს. წარმოუდგენელია, მწვრთნელმა მოუმზადებელი სპორტსმენი შეუშვას ხალიჩაზე და წარმატებაზე ფიქრობდეს. ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა და არც იქნება, მით უმეტეს, ევროპის ჩემპიონატზე. თუ წარმატება გვსურს, ამისთვის თადარიგის დაჭერაა აუცილებელი, ისეთის, როგორიც ახლა გვქონდა. ერთი სიტყვით, შეკრებებით კმაყოფილები ვართ.

**— მზადების პერიოდიდან გამომდინარე, თქვენი ნაკრების მიერ მოპოვებული სამივე ხარისხის თითო მედალს და გუნდურ III ადგილს როგორ შეაფასებდით?**

— შეიძლებოდა; უკეთესი შედეგისთვის მიგვეღწია. ამის საშუალება ჰქონდა ოთარ თუშიშვილს (63 კგ), მაგრამ რუსეთის წარმომადგენელთან შეხვედრისას მას აშკარად ხელი შეუშალეს. ლექსო მოდებაძემ (130 კგ) კი დამსახურებულად დაიკავა მეორე ადგილი. ფინალში იგი ოლიმპიურ ჩემპიონ რუს დავიდ მუსულბესთან დამარცხდა.

**— ელდარ კურტანიძემ ყველა შეხვედრაში დამაჯერებლად გაიმარჯვა, თუ იყო რომელიმე ბრძოლა, სადაც ინერვიულეთ?**

— შეიძლება ითქვას, კურტანიძემ რიხინ-რიხინით ჩაატარა ყველა შეხვედრა, ფინალში კი რუსეთის სახელით მოასპარეზე ჩვენს თანამემამულე გიორგი გოგშელიძეს გადაეყარა. მართალია, იგი ნიჭიერი და იმედის მომცემი მოჭიდავეა, მაგრამ ჩვენს გამოცდილ ფალავანს მაინც ვერაფერი დააკლო. შედეგად ელდარმა მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა.

**— ბუდაპეშტში იმედი ვინ გაგიცრუათ და საერთოდ უინტერესო არც ჩვენი გუნდის თითოეული წევრის თქვენეული დახასიათება იქნება.**

— სასაყვედურო არავისთან არაფერი მაქვს. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში რევაზ მინდორაშვილი, რომლისთვისაც ევროპის ჩემპიონატი პირველი სერიოზული ასპარეზობა გახლდათ, ჯგუფიდან გასასვლელ შეხვედრაში რუს ოლიმპიურ ჩემპიონ ბუვაისა საიტიევთან მარცხის გამო ორთაბრძოლებს გამოეთიშა. არადა, თავიდანვე მას რომ არ შეხვედროდა, მინდორაშვილსაც შეეძლო საპრიზო ადგილისთვის გაეგრძელებინა ბრძოლა. ახალგაზრდებს, ზვიად გვილავას (58 კგ) და დავით ლეჟავას (69 კგ) წარმატებისთვის არ მიუღწევიათ, მაგრამ კონტინენტის პირველობაზე ასპარეზობით მათ საკმაო გამოცდილება შეიძინეს. მომავალში მათ ეს უთუოდ წაადგებათ. შეიძლებოდა, გოჩა კირკიტაძეც (54 კგ) ყოფილიყო ფინალისტი, მაგრამ, სპორტული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ერთ-ერთი ორთაბრძოლისას „დაგვიწვეს".

**— მსოფლიოს ჩემპიონატისთვის როგორი გეგმები გაქვთ?**

— ნიუ იორკის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი ტურნირი გვაქვს დაგეგმილი. ასევე გვინდა, ოთხი საწვრთნელი შეკრებაც გავიაროთ. ხოლო იმას, მსოფლიოს პირველობაზე როგორ ვიასპარეზებთ, იქიდან ჩამოსვლის მერე გეტყვით.

**გიგა გურასპაშვილი**

ზე-12. მეცხრე ტური

# ხარები კი გახელდნენ, მაგრამ მაინც გახედნეს

**დანიდინი 16:9 კანბერა**

დანიდინი: 1ლ: ტუილევუ; 1გ. და 3ს: ბრაუნი
კანბერა: 3ს: მორტლოკი

**პრეტორია 37:49 ჰამილტონი**

პრეტორია: 5ლ: სტეინი, ფან დერ ვესტჰოიზენი, ლომბარდი, ველში (2); 3გ. და 2ს: ვესელსი
ჰამილტონი: 6ლ: ჰოლაჰი, კრაიჩტონი, მატჩელი, მუირი, რეიშანა, ჯექსონი; 5გ, 2ს. და 1ს: ჯექსონი

**კეიპტაუნი 12:26 ოკლენდი**

კეიპტაუნი: 4ს: ფან სტრაატენი
ოკლენდი: 2ლ: ვიდირი, ჰოულეტი; 2გ. და 4ს: ოლრიჯი

**ბრისბენი 32:27 დურბანი**

ბრისბენი: 4ლ: პელესასა, ჰერბერტი, ჯეფუ, ლეითემი; 3გ: ფლეტლი; 2ს: ფლეტლი, სპუნერი
დურბანი: 3ლ: ტერბლანში, კეიზერი (2); 3გ: კრუხერი (2), ჯეიმსი; 2ს: კრუხერი, ჯეიმსი

**კრაისტჩერჩი 31:32 იოჰანესბურგი**

კრაისტჩერჩი: 3ლ: ტორნე, ტორნი, ვუნიბაკა; 2გ: მერთენსი, მაუგერი; 4ს: მერთენსი
იოჰანესბურგი: 4ლ: ჰუმენი (2), ერასმუსი, იანტიესი; 3გ. და 2ს: კოენი

*სიდნეი და ველინგტონი ისვენებდნენ*

გასულ უქმეებზე სამხრეთ ნახევარსფეროს მთავარ საკლუბო ტურნირში მეცხრე ტური გაიმართა, რომლის შემდეგაც გათამაშების ცხრილს სამხრეთაფრიკული დუეტი ჩაუდგა სათავეში. ლიდერმა დურბანმა კი წააგო, მაგრამ პრემიალური ქულა მაინც მოიპოვა და, ფაქტობრივად, ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება დაიბევა. თუ სასწაული არ მოხდა, საუკეთესო ოთხეულში მოხვდებიან კრაისტჩერჩში გამარჯვებული იოჰანესბურგელებიც. კანბერას კი დანიდინური მარცხი კვლავ გაურკვეველ მდგომარეობაში ამყოფებს. მეოთხე ბედნიერის ვინაობას კი ბოლო ტურების ჩატარებამდე მხოლოდ წინასწარმეტყველი თუ გვეტყვის, ისეთი სიმჭიდროვეა ცხრილში.

დანიდინი მოგებას ძირითადად თავის მორკინალებს უნდა უმადლოდეს. „მთიელმა“ წინახაზელებმა მოწინააღმდეგე აშკარად დაჯაბნეს და სწორედ ამიტომაც იმარჯვა შერკინების ნახევარმცველების დუელში მასპინძელმა კელეჰერმა და არა სტუმარმა გრეგანმა. ახალზელანდიელებმა თავიდანვე დიდი ძალებით შეუტიეს და ავსტრალიელთა 22-მეტრიან მოედანში კარგა ხნით დაბანაკდნენ. თუმცა ამისგან დიდი ვერაფერი ხეირი ნახეს და მხოლოდ ერთი საჯარიმოთი დაკმაყოფილდნენ.

რამდენიმე წუთში კი მათ მერვე ნომერი სამიუ ვაჰაფოლაუ გამოაკლდათ, რომელმაც ქუსლის ტრავმა მიიღო. ამ მატჩში კიდევ ერთ მორაგბეს მოუწია მინდვრიდან ექიმების დახმარებით გასვლამ. დაახლოებით მე-60 წუთზე ოზთა გარე ნახევარმცველმა სტივენ ლარკჰემმა მკლავი იტკინა. თავიდან ეგონათ, მოიტეხაო, მაგრამ „ვოლაბი“ მოტეხილობას გადაურჩა და რამდენიმე დღეში კიდეც მომჯობინდება. პირველ ტაიმში კი გუნდებმა მხოლოდ საჯარიმოები გაცვალეს და შესვენებამდე ანგარიშში თანაფარდობა იყო — 9:9. მეორე ტაიმი მასპინძლებმა პირველის მსგავსად, ანუ იერიშებით დაიწყეს და მალე საწადელიც აისრულეს. ლელო ტუილევუმ გაიტანა, ბრაუნმა გარდასახვა შეაგდო და მატჩი ასეც დასრულდა, რადგან მერე დაცვაში თავდადებით მოთამაშე დანიდინელებმა მეტოქეს ქულაც არ დაუთმეს და თავადაც მეტად უკბილოდ უტევდნენ.

მშვენიერი სანახაობა გაიმართა პრეტორიაში, სადაც მაყურებელმა ჯამში 11 ლელო და უშელავათო ბრძოლა იხილა. გამარჯვება ჰამილტონს დარჩა, რომელმაც გათამაშების ცხრილში მეხუთე ადგილამდე აინაცვლა, საიდანაც ნახევარფინალამდე ერთი ნაბიჯილაა. თუმცა ჰამილტონს საკმაოდ მძიმე კალენდარი აქვს (ბოლო ტურში კანბერაში ჩადის) და ოთხეულში შეღწევაც ერთობ გაუჭირდება. პირველ ორმოცწუთეულში კუნძულელთა უპირატესობა უდავო იყო, მათ ერთი ხუთწუთიანი მონაკვეთი 19:0 მოიგეს და ტაიმიც 32:13 დაასრულეს თავიანთ სასარგებლოდ. მეორე ნახევარში კი „ხარები“ გახელდნენ და მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე მოწინააღმდეგეს ხუთ ქულამდეც (27:32) წამოეწივნენ, რაშიც სტუმარი კრაიჩტონის დროებითმა გაძევებამაც ითამაშა თავისი როლი. თუმცა ჰამილტონელებმა „ხარების“ გახედნა მაინც შეძლეს, რაც ძირითადად გლენ ჯექსონის დამსახურებაა. პრეტორიამ ბოლო ლელო კი გაიტანა, მაგრამ მატჩის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო და იოსტ ფან დერ ვესტჰოიზენი და კომპანია კვლავინდებურად გამარჯვების გარეშე არიან.

ორგზის ჩემპიონმა ოკლენდმა მოგების გემო გაიხსენა. „ლურჯებმა“ მათსავით ცუდ დღეში მყოფ კეიპტაუნს აჯობეს, რაც დაცვაში ბრწყინვალე თამაშის შედეგია, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როცა ერთადერთმა ოლრიჯმა შეძლო ქულების მოხვეჭა (6). შესვენების შემდეგ ახალზელანდიელმა კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა, რასაც ბრაამ ფან სტრაატენმა ოთხით უპასუხა და მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ანგარიში 12:12 გახდა. მერე კი სტუმრებმა ორი ლელო გაიტანეს და ოთხი ქულაც მოიპოვეს.

ბოლო სამი ზე-12-ის გამარჯვებულმა კრაისტჩერჩმა იოჰანესბურგთან წააგო და, ფაქტობრივად, ნახევარფინალში მოხვედრის ყველა შანსი გადაიწურა. „კატებმა“ თავიდანვე გამოაჩინეს ბრჭყალები და ვილი ჰუმენმა მეხუთე წუთზე დაალელოვა „ჯვაროსნები“, რასაც ხუთიოდ წუთში მეორე ლელოც მიაყოლა. ტაიმის ბოლომდე სამხრეთაფრიკელებმა კიდევ ერთი გარდასახული ლელო და ორი საჯარიმო მიითვალეს, მეტოქეს ოდენ 9 ქულა დაანებეს და შესასვენებლად არხეინად წავიდნენ, რადგან 27:9 დაწინაურებულიყვნენ. თუმცა მეორე ნახევარში მასპინძლებმა ხელი გამოიღეს და ანგარიშში სხვაობა ნელ-ნელა შეამცირეს. მათ გამარჯვებაც შეეძლოთ, როცა მარიკა ვუნიბაკამ ბოლო წუთებში ლელო გაიტანა და ანგარიში 32:31 გახადა, მაგრამ აარონ მაუგერმა აუტის ხაზის სიახლოვედან გარდასახვა ვერ შეაგდო.

ბრისბენმა ტურნირზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა და ლიდერ დურბანს სძლია, რომლის მთავარ მწვრთნელსაც ძირითადის რამდენიმე მორაგბის დასვენება გადაეწყვიტა. ამის მიუხედავად, „ზვიგენებმა“ ძლიერად დაიწყეს და ტაიმი 17:3 მოიგეს, თუმცა შესვენების შემდეგ „წითლებმა“ გაილაღეს და დაწინაურებაც შეძლეს. მერე კეიზერმა მესამედ დაალელოვა მასპინძლები და თითქოს მატჩის ბედი ერთხელაც უნდა შემობრუნებულიყო, მაგრამ ამ დროს ბრისბენელთა ერთ-ერთი ხულიგანი ქომაგი მინდორზე გაიჭრა და დეონ კეიზერისკენ საცემრად გაიწია, რაც, საბედნიეროდ, არ გამოუვიდა. თამაში ცოტა ხნით შეწყდა, ხოლო რომ განახლდა, დურბანელებს ძალიან აღარ მოუკლავთ თავი, ემანდ ყველანი არ გავილახოთო და პრემიალური ქულითაც დაკმაყოფილდნენ.

**გაგი გურული**



ბრისბენი — დურბანი. მასპინძელი კრის ლეითემი დურბანელებს ალელოვებს



ამ გაჩხაკინებულ ოზს უნდოდა დურბანელი მორაგბის გალახვა?!

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დურბანი | 9 | 7 | 0 | 2 | 4 | 2 | 275:193 | 34 |
| იოჰანესბურგი | 9 | 7 | 0 | 2 | 2 | 2 | 250:201 | 32 |
| კანბერა | 9 | 6 | 0 | 3 | 4 | 2 | 264:191 | 30 |
| დანიდინი | 9 | 5 | 0 | 4 | 3 | 2 | 236:241 | 25 |
| ჰამილტონი | 8 | 5 | 0 | 3 | 3 | 0 | 229:225 | 23 |
| სიდნეი | 8 | 4 | 0 | 4 | 3 | 1 | 244:213 | 20 |
| ბრისბენი | 8 | 3 | 0 | 5 | 4 | 4 | 220:219 | 20 |
| ველინგტონი | 8 | 4 | 0 | 4 | 2 | 1 | 205:212 | 19 |
| კრაისტჩერჩი | 8 | 3 | 0 | 5 | 1 | 3 | 230:256 | 16 |
| კეიპტაუნი | 8 | 3 | 0 | 5 | 1 | 2 | 196:224 | 15 |
| ოკლენდი | 8 | 3 | 0 | 5 | 2 | 1 | 175:218 | 15 |
| პრეტორია | 8 | 0 | 0 | 8 | 2 | 1 | 169:300 | 3 |

*მოგებისთვის გუნდებს ერიცხებათ 4 ქულა, ფრისთვის — 2, წაგებისთვის კი არცერთი. მეხუთე გრაფაში 4 ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი 7 ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებაა.*

ევროპის თასი. ნახევარფინალი

# ფინალისტობისთვის ერთი ლელოც კმარა

ვილნევ დასკი. 20000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სტად ფრანსე (საფრანგეთი) | 16 |
| მანსტერი (ირლანდია) | 15 |

სტად ფრანსე: 1 ლ: მიტონი; 1 გ. და 3 ს: დომინგესი
მანსტერი: 5 ს: ოგარა

უოტფორდი. 14000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ლესტერი (ინგლისი) | 19 |
| გლოსტერი (ინგლისი) | 15 |

ლესტერი: 1 ლ: ლოიდი; 1 გ. და 4 ს: სტიმპსონი
გლოსტერი: 5 ს: მანიქსი

ექვსი ერის ჩემპიონატის დასრულების (ირლანდიის თამაშების გარდა) შემდეგ ნაკრების მოთამაშეები თავ-თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ და ევროპის თასისთვისაც მოიცალეს. რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ ნახევარფინალური მატჩები ნეიტრალურ მოედნებზე (და არა ქვეყნებში) გაიმართა გასულ შაბათ-კვირას და ის ორი გუნდიც გამოვლინდა, 19 მაისს ფინალში რომ შეეჭიდება ერთმანეთს.

„სტად ფრანსემ“ ერთგვარად ლოგიკურად აჯობა „მანსტერს“, რომელიც კარგ, მაგრამ საკმაოდ სტერეოტიპულ, რაღაც ჩარჩოებში მოქცეულ რაგბის თამაშობდა. მატჩი ძალიან დაძაბული, მაგრამ ამავე დროს ტექნიკური თვალსაზრისით მეტად სუსტი გამოდგა. ორივე გუნდი ბევრს სცოდავდა ხელით თამაშისას და საბოლოოდ ფრანგებმა მხოლოდ ერთი ქულით გაიმარჯვეს. თუმცა მათ ონილის ლელოს ჩაუთვლელობით იხეირეს.

არადა, ირლანდიელთა ეს ლელო რომ წესების სრული დაცვით იქნა გატანილი, ვიდეოგამეორებაზე ნათლად ჩანდა. ოლონდ, ექვსი ერის ჩემპიონატისგან განსხვავებით, სხვა ტურნირებზე ვიდეოარბიტრი ჯერჯერობით ისევ არ ეხმარება მთავარ მსაჯს, ამიტომაც ევროპის თასის ფინალში „სტად ფრანსე“ გავიდა, რომელსაც, სამართლიანობის დასაცავად უნდა აღინიშნოს, მთლად დაუმსახურებლადაც არ მოუგია. პარიზელებმა მოწინააღმდეგე შერკინებაში უდავოდ დაჩაგრეს და პირველი ტაიმიც მთლიანად მათი უპირატესობით წარიმართა. ისინი ფართო ფრონტით უტევდნენ, მაგრამ კარგა ხანს ამაოდ. მხოლოდ 35-ე წუთზე დაავგირგვინა მიტონმა მშვენიერი კომბინაცია და ტაიმი „სტად ფრანსემ“ 16:6 მოიგო.




ლესტერი — გლოსტერი. ჯუნიორ პარამორმა ლესტერელ ლეონ ლოიდს ლელოს გატანაში ხელი ვერ შეუშალა

შესვენების შემდეგ ირლანდიელებმა თამაში გარდატეხის შეტანა სცადეს, მაგრამ ისინი თითქმის სულ ცენტრიდან უტევდნენ, სადაც დაცვაში მიტონი და კომბა ბრწყინვალედ ირჯებოდნენ და ამიტომაც კუნძულელებს მხოლოდ რონან ოგარას საჯარიმოებით მოუწიათ დაკმაყოფილება.

მეორე ნახევარფინალშიც მხოლოდ ერთი ლელო გავიდა და ფინალის საგზურიც მის გამტანს ერგო. „ლესტერმა“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია „გლოსტერს“, რომელსაც რამდენიმე ძირითადი სამმეოთხედელი აკლდა. ამიტომაც ფავორიტად ლესტერი მიიჩნეოდა, მაგრამ მან მეტოქეს გამარჯვება ძლივს გამოჰგლიჯა ხელიდან.

ლესტერელები წარმატებას თავიანთ ფრთა ტიმ სტიმპსონს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც 14 ქულა მოიხვეჭა და ერთადერთი ლელოს დროს მიაწოდა პასი ლეონ ლოიდს (22-ე წუთი). ამ დროს ანგარიშში თანაფარდობა იყო — 6:6. ლელოს მერე სტიმპსონმა ერთი საჯარიმოც შეაგდო, რასაც „გლოსტერის“ ახალზელანდიელმა დამრტყმელმა საიმონ მანიქსმაც იგივეთი უპასუხა და ტაიმი 16:9 დასრულდა. შესვენების შემდეგ „ვეფხვებმა“ უპირატესობის შენარჩუნება შეძლეს და მეორედ გავიდნენ ევროპის თასის ფინალში, რომელიც პარიზშია დაგეგმილი. საინტერესოა, რომ „ლესტერს“ 1997 წელსაც გადამწყვეტ მატჩში ფრანგული კლუბი შეხვედრია. მაშინ კარდიფში „ბრივმა“ იმარჯვა 28:9.

**გაგი გურული**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16, ფალიაშვილის ქუჩა №27) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16), მარნეულში (რუსთაველის ქუჩა №39) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩები**

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 001 | ზაარბრიუკენი-ალენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 002 | როიტლინგენი-ქემნიცი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები**

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 011 | ნოტსი-უიკომბი | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| 23.45 | 012 | ბრენტფორდი-კემბრიჯი | 1,95 | 3,3 | 3,3 |

26 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 013 | ნორთჰემპტონი-პორტ ვეილი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები**

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 019 | ლინკოლნი-კარლაილი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

26 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 020 | ბლეკპული-როჩდეილი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**შვედეთი. გადადებული მატჩი**

26 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 021 | იორებრო-იორგრიტე | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 504 | იუგოსლავია-რუსეთი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.30 | 505 | ლატვია-სან მარინო | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 22.00 | 506 | მალტა-ისლანდია | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 23.00 | 507 | ირლანდია-ანდორა | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 508 | ირლანდია-ანდორა 0:4 | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 23.30 | 509 | ავსტრია-ლიხტენშტაინი | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 510 | ავსტრია-ლიხტენშტაინი 0:4 | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 23.30 | 511 | ჰოლანდია-კვიპროსი | 1,08 | 7,0 | 14,0 |
| | 512 | ჰოლანდია-კვიპროსი 0:3 | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 01.00 | 513 | ტრინიდადი-მექსიკა | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 04.30 | 514 | აშშ-კოსტა რიკა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 05.00 | 515 | ბოლივია-არგენტინა | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 05.30 | 516 | იამაიკა-ჰონდურასი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 05.45 | 517 | ბრაზილია-პერუ | 1,2 | 5,6 | 10,0 |

**ამხანაგური მატჩები**

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 521 | მოლდოვა-ესტონეთი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 522 | ხორვატია-საბერძნეთი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 523 | რუმინეთი-სლოვაკეთი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.15 | 524 | შვეიცარია-შვედეთი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.30 | 525 | პოლონეთი-შოტლანდია | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 22.15 | 526 | დანია-სლოვენია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 22.15 | 527 | თურქეთი-ალბანეთი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.05 | 528 | ნორვეგია-ბულგარეთი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.30 | 529 | ჩეხეთი-ბელ[illegible]ა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.30 | 530 | უნგრეთი-ფინეთი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.45 | 531 | საფრანგეთი-პორტუგალია | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.45 | 532 | იტალია-ს.აფრიკა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 00.45 | 533 | ესპანეთი-იაპონია | 1,2 | 5,6 | 10,0 |

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)**

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 537 | იუგოსლავია-რუსეთი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**კალათბურთი. 1/8 ფინალი**

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 803 | მილუოკი-ორლანდო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.30 | 804 | საკრამენტო-ფინიქსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |

26 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 805 | ნიუ იორკი-ტორონტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.30 | 806 | ლეიკერსი-პორტლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |

**კალათბურთი. სუპერლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩი**

26 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 807 | ეფესი-სპლიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |

**ჰოკეი. 1/8 ფინალი**

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 902 | დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| თბილისი | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| თბილისი | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| თბილისი | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| თბილისი | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| თბილისი | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| თბილისი | წერეთლის გამზირი №11 | |
| თბილისი | ქავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| ქუთაისი | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| ბათუმი | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ჯონსმა რეკორდზე გაიწია



მარიონ ჯონსი შორს იხედება

**ნამდვილად** კარგად დასვენებულმა მარიონ ჯონსმა სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ პირველად გაიხსენა თავისი ხელობა თუ ფეხობა. მან კვირას კალიფორნიაში, ვალნუტის მასშტაბურ ტურნირზე 300 მეტრი ირბინა. ჯონსი სიდნეიში რჩეული ფიგურა იყო: სამი პირველი ადგილი დაიკავა, ორი — მესამე. მისი ოლიმპიური პროექტი სრულად ვერ განხორციელდა (ხუთი ოქრო უნდოდა), მაგრამ მიღწეულიც არ დაიწუნება, ხოლო წლეულს მსოფლიოს ყველაზე მარდი ქალბატონი ახალი გეგმებით წარუდგა სამძლეოსნო საზოგადოებას. მისი მთავარი მიზანი 100 მეტრზე მსოფლიოს რეკორდის დამხობაა, რომელიც ფლორენს გრიფიტ-ჯოინერს 1988 წლიდან ეკუთვნის და 10,49 წამს უდრის. ფუნდამენტი ჯონსმა 3 წლის წინ მოამზადა, როცა გვარიან პირქარში 10,65 წამი დახარჯა, რაც ჯოინერის რეკორდის გარდა, 100 მეტრის ისტორიაში 10,7-ზე ნაკლები ერთადერთი შედეგია. ჯონსის განწყობა ბრწყინვალეა, კუნთები შეჰმატებია და მოკლედ, რეკორდზე შესატევად მზად არის. კვირას ვალნუტში იგი სხვა რეკორდს ეპოტინებოდა, კერძოდ, იშვიათი 300 მეტრისას, მაგრამ ვერ დაამხო. კაცმა რომ თქვას, სეზონის პირველ ტურნირში ამგვარ რამეს არც არავინ ელოდა, ჯონსის 35,68 ისედაც რიგიან შედეგად მიიჩნევა. მან პირქარში ირბინა საწყისი 100 მეტრი და ორი მეტრით მაინც დაწინაურდა, მერე მოქნილად მოუხვია და ისევ სწორ გზაზე სრულიად მარტო გამოვარდა. საბოლოოდ ჯონსმა წამით აჯობა ყველაზე ახლო მდევარს, ვისი გვარ-სახელიც მძლეოსნობის მოყვარულებს არაფერს ეუბნება.

„მართლაც რომ ჯანზე ვარ — თქვა ჯონსმა — ეს დისტანცია ადრე არ მირბენია. მწვრთნელი (ტრევორ გრემი) მეუბნებოდა, 250 მეტრის შემდეგ გაგიჭირდებაო და მართალი ყოფილა. სამაგიეროდ, მოსახვევის გავლაში ფრიადი მეკუთვნის“.

ჯონსის გეგმები: 100 მეტრს იგი ბრისბენში კეთილი ნების თამაშებსა და მელბურნში „იააფ-ის გრან პრიზე“ ირბენს, აგრეთვე ციურიხსა და ბრიუსელში. არც 200 მეტრისა და სიგრძეზე ხტომის უყურადღებოდ დატოვებას აპირებს, ამ სახეობებს ამერიკის ჩემპიონატზე მიხედავს, ხოლო მისი გრაფიკის სხვა დეტალები ჯერაც ზუსტდება.

საერთოდ, ჯონსი ბოლო ხანებში ბელიზის მოქალაქეთა კერპად იქცა. დედამისი ბელიზელია, ჯონსიც იმ ქვეყანაში რამდენჯერმე ნამყოფია და ეტყობა, შეუყვარდა, თორემ რატომ ირბენდა სიდნეის ოლიმპიადაზე გამარჯვების წრეს ამერიკის და ბელიზის დროშებით? ბელიზში ბოლო ჩასვლისას ჯონსი ოვაციებით მიიღეს, პრემიერ-მინისტრი აეროპორტში იყო და ირგვლივ ზღვა ხალხიც, ხოლო აეროპორტიდან ბელმოპანამდე (დედაქალაქია) მთელ გზაზე ბავშვები დროშებს აფრიალებდნენ. ბელიზის ხალხმა ჯონსისადმი პატივისცემა შემდეგნირად გამოხატა: მისი სახელი უწოდეს ბელიზის ეროვნულ სტადიონს, ქვეყნის სპორტულ ელჩად დანიშნეს და დიპლომატიური პასპორტი გადასცეს, თუმცა სპრინტერს იგი ჯერ არ გამოუყენებია.

ვალნუტში მორის გრინსაც უნდა ერბინა, მაგრამ „ტეხასის ესტაფეტების“ შემდეგ მას ისევ ფეხი ასტკივდა და უკუიქცა, ხოლო 1 მილი ალმაფრენით გალია კენიელმა ბერნარდ ლაგატმა და გაიმარჯვა კიდეც.

**დავით გულუა**

ჭადრაკი

# სუპერბიზონი აზმაიფარაშვილი
## დოს ერმანასი ჩამოქვეითდა

**ფრანგულ** ენგენში დამთავრდა და ესპანურ დოს ერმანასში შუაგულს უწია იმ კატეგორიის საჭადრაკო ტურნირებმა, რომლებშიც ელიტის მეორე ეშელონი ცდის ხოლმე ძალებს. ენგენის ტურნირზე პირველი ათეულიდან მხოლოდ ევგენი ბარეევი თამაშობდა, ხოლო ალექსანდრ გრიშჩუკმა მსოფლიო ჭადრაკში თავისი სტაბილური ადგილი ჯერ კიდევ უნდა იპოვოს. სხვები კი, როგორც აღვნიშნეთ, მეორე ეშელონის წევრები იყვნენ და რამდენიმე მესამესიც: ჟოელ ლოტიე, ლუკ ვან ველი, ვლადისლავ ტკაჩოვი, ვიორელ ბოლოგანი, ეტიენ ბაკრო, ვლადიმირ აკოფიანი, ლორან ფრესინე და კრისტიან ბაუერი.

უნდა ითქვას, რომ ბარეევმა და გრიშჩუკმა ენგენში თავიანთი კლასი ვერ წარმოაჩინეს, ტურნირი ვლადიმირ აკოფიანმა მოიგო. სომეხი მოჭადრაკე ენგენში თავს არ ჰგავდა. იგი კომბინაციური სტილის მიმდევარია, ამჯერად კი ფრთხილად და გარკვევით თამაშობდა, მოუგო ბაუერს და ბოლოგანს, არც ერთი არ წაუგია და პლუს ორი პირველობისთვის ეყო. სხვები კი დიდად დაფანტულები ჩანდნენ, იგებდნენ მშვენიერ პარტიებს, მერე აგებდნენ სამარცხვინოდ და ასე შემდეგ. მოკლედ, შოუს თვალსაზრისით ენგენში ყველაფერი რიგზე იყო, ხოლო დოს ერმანასში უკვე ხუთი ტური შედგა და უმეტესობა ყაიმებით დასრულდა.

ესპანეთში დოს ერმანასი ლინარესის შემდეგ მეორეა. ბოლო წლებში მაინც იქ სულ უძლიერესები თამაშობდნენ, მაგრამ წლეულს ძველებურად პრესტიჟული ვერც ლინარესია და ვერც დოს ერმანასი. ვითომ ტურნირი საერთოდ არ უნდა შემდგარიყო, მაგრამ შედგა, ოღონდ კატეგორიით მე-16-მდე ჩამოვიდა. დოს ერმანასში ზურაბ აზმაიფარაშვილიც თამაშობს, რომელსაც ტურნირის წინასიტყვაობისას „კასპაროვის კლუბის“ კომენტატორი ასე ახასიათებს: „ზურაბ აზმაიფარაშვილი, რეიტინგი 2670, 41 წლის, კიდევ ერთი სუპერბიზონი, ცბიერი, ფრთხილი. ბოლო დროს თამაშს მოუხშირა და ეტყობა, კვლავ ჭადრაკის პროფესიონალად იქცა. ზურაბმა ხარისხიანი სკოლა გაიარა, ერუდიციით გამოირჩევა, ნებისმიერი მეტოქისთვის საშიშია და მაინც არ მჯერა, რომ ის პირველობას შეძლებს, უფრო ცხრილის შუაში მოხვდება“.

პირველობა წლევანდელ დოს ერმანასში მართლაც არაა იოლი საქმე, რადგან გიგანტების ნაცვლად ნაცვლად იქ ურიგო ხალხი როდი თამაშობს. ებრაელი ილია სმირინი და პოლონელი მიხეილ კრასენკოვი, უნგრელი ზოლტან ალმაში და ესპანელი მიგელ ილესკასი ცნობილი სახელებია, ახალგაზრდებიდან კი არიან 18 წლის ესპანელი და 14 წლის აზერბაიჯანელი ტალანტები, ფრანსისკო ვალეხო და თემურ რაჯაბოვი. ჩვენს მეზობელს მსოფლიოში ყველაზე პერსპექტიულ ყმაწვილ მოჭადრაკედ ნათლავენ და მის ღირსებად სტაბილურ თამაშსა და საჭადრაკო თავხედობას მიიჩნევენ. რაჯაბოვი თურმე ავტორიტეტებსაც არ უფრთხის და პირველივე ტურში კრასენკოვს სწორედ რისკით მოუგო, როცა პირველმა დაარღვია წონასწორობა დაფაზე. თან შავებით იყო.

რაც შეეხება აზმაიფარაშვილს. ქართველი მიხეილ გურევიჩთან ერთად ტურნირის უხნესია და ასაკის შესაფერისი სოლიდურობით თამაშობს. იგი დაუზავდა ვალეხოს, ალექსანდრ დრეევს, გურევიჩს, მერე წააგო ილესკასთან და ყაიმით დაასრულა პარტია ალმაშისთან, რის შემდეგაც ცხრილის ბოლოსკენ მოექცა, თუმცა 4 ტური ჯერ კიდევ წინ არის.

**დავით გულუა**

**ენგენის ტურნირი.**
**(მე-17 კატეგორია)**

საბოლოო შედეგები

1. ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი) 6; 2. ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) 5,5; 3-5. ლუკ ვან ველი (ჰოლანდია), ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი), ევგენი ბარეევი (რუსეთი) 5; 6. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 4,5; 7. ლორან ფრესინე (საფრანგეთი) 4; 8-9. ვადიმ ტკაჩოვი (საფრანგეთი), ვიორელ ბოლოგანი (მოლდოვა) 3,5; 10. კრისტიან ბაუერი (საფრანგეთი) 3

**დოს ერმანასის ტურნირი.**
**(მე-16 კატეგორია)**

ვითარება მე-5 ტურის შემდეგ

1. ილია სმირინი (ისრაელი) 3,5; 2-4. ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი), მიგელ ილესკასი (ესპანეთი), ალექსანდრ დრეევი (რუსეთი) 3; 5-7. მიხეილ გურევიჩი (ბელგია), ზოლტან ალმაში (უნგრეთი), თემურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 2,5; 8-9. ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო), ივან სოკოლოვი (ბოსნია-ჰერცოგოვინა) 2; 10. მიხეილ კრასენკოვი (პოლონეთი) 1



# სტალინის ერა ბრუნდება



რა ჩაიფიქრა ხუან ანტონიო სამარანჩმა?

**რაც** უფრო ახლოვდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპრეზიდენტო არჩევნები, მით მეტად მატულობს დაძაბულობა, უნდობლობა და ეჭვიც.

მსოფლიოს სპორტის ყველაზე გავლენიანი თანამდებობის ახალი მეპატრონის გამოჩენამდე სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ყველასთვის მოულოდნელად ახალი საარჩევნო წესები შემოიღო. ამან სოკ-ის წევრთა შორის შეშფოთება და ერთგვარი შიშიც კი გამოიწვია. არადა, ჯერ კიდევ ხუთი თვის წინათ ლოზანაში სამარანჩი აცხადებდა, რომ მისი სავარძლისთვის მებრძოლ კანდიდატებს ახალი საარჩევნო წესები არ ემუქრებათო. თუმცა, მას შემდეგ 80 წლის ესპანელმა მარკიზმა აზრი შეიცვალა და სოკ-ის ეთიკის კომისიას საპრეზიდენტო კამპანიისთვის ახალი კანონის შემოღება დაავალა. მათ შესახებ ჩვენც დროულად ვიუწყებოდით, მაგრამ საქმე ისაა, რომ სოკ-ის ზოგიერთმა წევრმა იმ კანონში ამოიკითხა ისეთი რამ, რაც თურმე, სამარანჩს მისთვის სასურველი კანდიდატურის სხვებთან შედარებით დაწინაურებაში უხსნის ხელ ფეხს.

„სიმართლე რომ ვთქვათ, ყოველივე ამას მანიპულირების ხელი ატყვია. სამარანჩმა იცის, თუ ვის ისურვებდა მემკვიდრედ. ასეთი წესები მისი რჩეული კანდიდატის სასარგებლოდ მეტყველებს“ — განუცხადა ფრანს პრესის სააგენტოს სოკ-ის ერთმა წევრმა. ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო სხვა სოკ-ელმა კი ეთიკის კომისიის მიერ საარჩევნო კამპანიისთვის შემუშავებულ კანონებს დრაკონულიც უწოდა.

„ასეთი რამ ცხოვრებაში არ მინახავს. ეს სტალინის ერაში დაბრუნებას ჰგავს“ — შიშობს უცნობი სოკ-ელი.

საინტერესოა, რომ პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს: ჟაკ როგს, კიმ უნ იონგს, დიკ პაუნდს, ანიტა დეფრანცსა და პალ შმიტს ახალი კოდექსების თაობაზე უკმაყოფილება საჯაროდ არ გამოუთვაქმთ. თუმცა, ამბობენ, სულ ცოტა სამმა მათგანმა მეგობრებთან პირადი საუბრისას თავიანთი ბრაზი გამოხატესო.

სხვათა შორის, ზოგიერთი წყაროს თანახმად, სამარანჩი თავის მემკვიდრედ როგს უჭერს მხარს. არადა, ესპანელი მარკიზი საჯაროდ ყოველთვის უარს ამბობდა, საარჩევნო ბატალიების კომენტარზე და ერთი და იგივე, განცხადებით იფარგლებოდა, ყველა კანდიდატი ძლიერიაო.

გარდა ამისა, უცხოური სააგენტოების ცნობით, სამი კონტინენტის სოკ-ის წევრთა შორის გავრცელებულია აზრი, რომ სამარანჩი კიმის საარჩევნო კამპანიის მომძლავრებითაა შეშფოთებულიო.

მიუხედავად იმისა, რომ სოლტ ლეიკ სიტის სამექრთამეო სკანდალებში მონაწილეობის გამო 70 წლის კიმი მკაცრად გააფრთხილეს, იგი მაინც როგის უძლიერეს მეტოქედ ითვლება, ამ უკანასკნელს კი ლიდერობაში ხელს უწყობს მისი გავლენიანი ევროპული ბაზა.

თუმცა, „კიმი ძლიერია, მაგრამ უფრო და უფრო ძლიერი ხდება“. დიდი შეცდომა იქნება, თუ ვინმე მას შესაბამისად არ შეაფასებს. როგის მსგავსად, მასაც ძლიერი ბაზა გააჩნია“ — ამბობს სოკ-ის ერთი წევრი.

და მაინც, 16 ივლისის არჩევნებამდე, თუ რომელიმე მათგანს ფეხი დაუცდა, მაშინ ამ „ხარვეზის“ ამოსავსებად ექსპერტებს კანადელი დიკ პაუნდი შეუგულებიათ. სოკ-ის მარკეტინგის მესაჭე არანაკლებ გავლენიანი ფიგურაა. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული სოკ-ის ფინანსური აყვავება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანადელმა სამარანჩის დაკვეთით საკმაოდ რთული მისია შეასრულა — გამწმენდი სამუშაოები ჩაატარა და სოლტ ლეიკ სიტის დავიდარაბის გამო ყოველივეს თავისი სახელი დაარქვა. მაშინ გამოძიებას, მოგეხსენებათ, ექვსი კოლეგის გარიცხვა და ოთხის გადადგომა მოჰყვა. ამასთან, ის მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელიცაა.

„დიკი გონიერი, ჭკვიანი და საქმის მკეთებელია“ — ამბობს ყოფილი ოლიმპიელი მოცურავის მხარდამჭერი. თუმცა, კრიტიკოსები აცხადებენ, რომ პაუნდს პირდაპირობა ხელს შეუშლისო.

„ჩვენ გვჭირდება ისეთი კაცი, ვისაც პოლიტიკა ესმის და არა ის, ვინც პირდაპირ აწვება“ — თქვა სოკ-ის ერთმა წევრმა.

მაშინ, როდესაც კიმიცა და პაუნდიც ფავორიტებად არიან მიჩნეულნი, არაა გამორიცხული, რომ ისინი ერთადერთმა პრეზიდენტობის მაძიებელმა ქალბატონმა ამერიკელმა ანიტა დეფრანცმა შეავიწროვოს. მით უმეტეს, რომ ზოგს ეს საკმაოდ რეალურადაც ეჩვენება. ისინი მიუთითებენ ახლახან დელიში სამარანჩის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე. მაშინ აზია-ოკეანეთის ქვეყნებში გამოსამშვიდობებელ ტურნეში ყოფნისას ესპანელმა მარკიზმა თქვა, რომ საერთაშორისო სპორტის ხელმძღვანელ ორგანოებში რაც შეიძლება მეტი ქალი უნდა მოხვდესო.

ასეა თუ ისე, ერთის გამოკლებით ყველას რაღაც შანსი აქვს. ყველაზე ცუდ დღეში უნგრელი პალ შმიტია. მის შესაძლო წარმატებაზე სიტყვა ჯერ არავის დასცდენია.

**გიგა გურასყვილი**

NHL. სტენლის თასი. პირველი წრე (ოთხ მოგებამდე)

# ბოუმენიადის დასასრული

23 აპრილი

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| პიტსბურგი | 4 |
| ვაშინგტონი | 2 |

**პიტსბურგი 4:3 ვაშინგტონი**

**(2:0 1:2 0:1 1:0)**

**1:0 ლემიე 8(4), 2:0 ლანგი 9(1), 2:1 უიტი 35(2), 2:2 ჰალპერნი 38(2), 3:2 კოვალიოვი 40(2), 3:3 კ. იუჰანსონი 58(1), 4:3 სტრაკა 74(1)**

„მხოლოდ ერთი რამ მინდოდა — ყველაფერი რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო. დროა, შინ დავბრუნდეთ და დავისვენოთ" — მატჩის გმირმა მარტინ სტრაკამ მხოლოდ შეხვედრის შემდეგ ამოისუნთქა შვებით. სწორედ მისმა გოლმა მოუტანა პიტსბურგს გამარჯვება მეექვსე თამაშსა და სერიაში და პლეი ოფის მეორე წრეში გაიყვანა.

ოვერტაიმს მე-14 წუთი მიმდინარეობდა. ვაშინგტონის ზონაში სერგეი გონჩარმა შეტევის წამოწყება დააპირა, მაგრამ უცებ შაიბა აჴტა და დაბნეულ მცველს იგი პიტსბურგელმა მარტინ სტრაკამ წაართავა. მეკარე ოლაფ კოლციგთან პირისპირ გასვლა და...

„საწყენია, რომ ერთი შეცდომის და მოედნის ცუდი ხარისხის გამო დავმარცხდით" — ვაშინგტონელთა თავკაცი რონ უილსონი მატჩის შემდეგ გულმოკლული იყო და მართლაც, მისმა შეგირდებმა მთელი სერიის განმავლობაში ღირსეულად იბრძოლეს. თუმცა ახლაც, წინა შეხვედრის მსგავსად, პირველივე პერიოდში მეტოქეს ორი გოლის გატანის საშუალება მისცეს. ჯერ ლემიემ აჯობა კოლციგს, როცა კართან უმეთვალყურეოდ დარჩა, მერე კი სწრაფი კონტრშეტევა რობერტ ლანგმა დააგვირგვინა. წინა ხუთ მატჩში ის იმარჯვებდა, ვისაც გოლი პირველს გაჰქონდა და ამჯერადაც ასე მოხდა. თუმცა დედაქალაქელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბოლომდე არ დაყარეს ფარ-ხმალი. ვაშინგტონელები ვერც ორმა გოლმა გატეხა და ვერც ალექსეი კოვალიოვის შაიბამ, რომელიც მან უძლიერესი დარტყმით მეორე პერიოდის ბოლო წამზე გაიტანა და მასპინძლები ისევ დააწინაურა. ძირითადი დროის მიწურულს მცველმა კალე იუჰანსონმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ოვერტაიმში ბედმა პიტსბურგს გაუღიმა.

ასე სძლია პიტსბურგმა ვაშინგტონს ზედიზედ მეორე პლეი ოფში და ეს ამჯერადაც ორმა მთავარმა ფაქტორმა განაპირობა. ჯერ ერთი, პიტსბურგმა მეტოქეს ფხიზელი, გონივრული, კონტრშეტევებზე აგებული თამაში შესთავაზა. მეორეც, გუნდს ლემიე ჰყავდა. არადა, მარიოსგან ასეთ ჟინსა და მონდომებას არავინ ელოდა. მართალია, ჩემპიონატში იგი ბრწყინავდა, მაგრამ პლეი ოფი ხომ სულ სხვაა.

| დასავლეთი | |
|---|---|
| ლოს ანჯელესი | 4 |
| დეტროიტი | 2 |

**ლოს ანჯელესი 3:2 დეტროიტი**

**(1:0 0:2 1:0 1:0)**

**1:0 შტუმპელი 3(3), 1:1 ვერბიკი 25(2), 1:2 მაკარტი 27(1), 2:2 დედმარში 51(2), 3:2 დედმარში 65 (3)**

ლოს ანჯელესში ისტორიული ფაქტი მოხდა. 18 500 მაყურებლის თვალწინ დასრულდა ეპოქა, ეპოქა სკოტი ბოუმენისა და დეტროიტის სწორუპოვარი გამარჯვებებისა. სერიის მეექვსე მატჩის ოვერტაიმში სხვას ვერაფერს იფიქრებდი გუნდზე, რომელმაც ორჯერ ზედიზედ მოიპოვა სტენლის თასი. დიახ, ისევ ადამ დედმარშმა, წლების განმავლობაში კოლორადოში მოასპარეზე ფორვარდმა დაამტკიცა, რომ დეტროიტის მოსისხლე მტერი და მისი დამქანცველია. დეტროიტთან ყოველთვის ჩინებულად მოასპარეზე დედმარშმა იოზეფ შტუმპელის დარტყმის შემდეგ ყველას დაასწრო და დეტროიტი თასის მეორე რაუნდის მიღმა დატოვა, 1994 წლის შემდეგ პირველად.

კონკრეტულად მეექვსე მატჩზე საუბარი ბევრს ვერაფერს მოგვცემს. სერია რომ ასე დასრულდა, ამის მიზეზები უფრო შორს და ღრმად მოსაძიებელია. რა თქმა უნდა, დეტროიტის ქომაგებს შეუძლიათ, სტივ აიზერმანისა და ბრენდან შენაჰანის ტრავმებს დააბრალონ. ორივე პირველ მატჩში დაშავდა და მხოლოდ შენაჰანმა შეძლო ერთ, მეხუთე მატჩში გამოჩენა, მაგრამ... ფაქტია, ბებერი ბოუმენი ბოლო წლების განმავლობაში ზედმეტად ენდო ვეტერანებს და მათ ახალი სისხლი არ შეურია. ამიტომ დეტროიტელთა თამაში არ შეიცვალა და მეტოქეებსაც საშუალება მიეცათ, კარგად შეესწავლათ მათი სისუსტეები. თანაც ყველაზე ხნიერ გუნდს (საშუალო ასაკი 33 წელი) აშკარად არ ეყო ძალა პლეი ოფში — თითქმის ყველა მატჩს კარგად იწყებდნენ, მაგრამ ბოლოს უჭირდათ. ამიტომ საკითხავია, რა საჭირო იყო ის მონდომება, რომელიც გუნდმა ჩემპიონატის ბოლოს გაამჟღავნა. იქნებ სჯობდა, ძალები დაეზოგათ. მაგრამ რაც არ უნდა ითქვას და დაიწეროს ამ მარცხის მიზეზებზე, ერთს ალბათ ვერავინ ახსნის — როგორ შეიძლება, გუნდი 2:0 იგებდეს, მეტოქესაც აშკარად სჯობდეს და ასე სამარცხვინოდ წააგოს. არადა, ეს ხომ პირველად არ ხდება, ორი წლის წინ ზუსტად იგივე დაემართა კოლორადოსთან სერიაში.

**სამველ ლარიბიანი**

**ბომბარდირები:** ტარჯონი (სენტ ლუისი) და შატანი 9(2+7), გრეტონი (ორივე ბუფალო) 8(5+3), ჰოლიკი (ნიუ ჯერსი) 8(4+4), ლიდსტრიომი (დეტროიტი) 8(1+7), ლემიე (პიტსბურგი) და საკიკი (კოლორადო 7(4+3), შტუმპელი (ლოს ანჯელესი) 7(3+4), ფიოდოროვი (დეტროიტი) 7(2+5), დრეიკი (სენტ ლუისი) და დრური (კოლორადო) 6(4+2)



REUTERS

პიტსბურგი — ვაშინგტონი. წამიც და პიტსბურგელი მარიო ლემიე გოლს გაიტანს ვაშინგტონელი ოლაფ კოლციგის კარში


ძია კლოდის გუნდში კაცები თამაშობენ — გვეუბნება მერაბ რატიშვილი.
სიცოცხლის ფასად რომ დაგვიჯდეს, მსოფლიოს თასზე მაინც გავალთ
— გვარწმუნებს ლეონიძე, ანუ ქართული რაგბის ვარსკვლავი ლევან ცაბაძე.
ევროპულზე კი ვირტუალური ჯიბრისწვა გაიმართა — ასე აფასებს ფეხბურთელთა ნაკრების თამაშს სოლომონ გულისაშვილი.
ბევრიც სხვა და მაიკლ ოუენის პლაკატი და სიახლე:

ფასი მხოლოდ 1 ლარი

№3 (13) აპრილი 2001 1

სპორტული ჟურნალი

სარბიელი



ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია

(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

იყიდება

სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ. აბაზანა-ტუალეტი რემონტით, ბ/აირით, ბარნოვის ქ. №71 II სად. შესასვლელი კეკელიძის ქუჩიდანაც:

ტელ:
22-75-07. 69-52-58



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაინც მხიარულობს



REUTERS იოჰანესბურგიდან

იოჰანესბურგში ერთმანეთს შეხვედრია ორი ძველი და ერთი ახლაც რინგზე მდგომი მოკრივე. მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი, დიდი სამხრეთაფრიკელი, მხცოვანი ნელსონ მანდელა სიყმაწვილეში მოკრივე იყო, მერე კი მთელ ოცდაექვს წელიწადს იჯდა ციხეში. საშუალო წონის ძველი ხელმწიფე, ამერიკელი მარვინ ჰაგლერი, რომელიც ახლა მხიარულ ფილმებში თამაშობს და იტალიაში ცხოვრობს, დიდ ოხუნჯ კაცად არის ცნობილი. ბრიტმა ლენოქს ლუისმა კი ორი დღის წინ დაკარგა მსოფლიოს ჩემპიონობა ნაკლებადცნობილ ამერიკელ ჰასიმ რაჰმანთან ბრძოლაში. ლენოქსს უხასიათობა სულაც არ ეტყობოდა, მარვინს მსაჯად დაუსახავს თავი, ბაბუა ნელსონი კი საბრძოლო დგომით ეგებება ბრიტს.



REUTERS ლონდონიდან

# სამი ტენორი პეკინში




REUTERS პეკინიდან

აჰ, როგორ სურთ ჩინელებს, რომ 2008 წლის ოლიმპიადა პეკინში გაიმართოს. ოლიმპიადის მასპინძელი ამ ზაფხულს გაირკვევა სოკ-ის მოსკოვის შეკრებაზე, მანამდე კი ოლიმპიური პეკინის მხარდასაჭერად ჩინეთის დედაქალაქში „სამი ტენორი“ იმღერებს. ხოსე კარერასის, ლუჩანო პავაროტის და პლასიდო დომინგოს კონცერტებზე ბილეთები თორმეტიდან ათას ექვსას დოლარამდე ეღირება.

# რედგრეივების მარათონი

ნიჩბოსნობის ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, დიაბეტით დაავადებულმა სერ სტივენ რედგრეივმა მაინც გაიტანა თავისი და ლონდონის მარათონში მიიღო მონაწილეობა. სტივენი 21-ე ადგილზე გავიდა, რაც საოცარი მიღწევაა მოყვარულისთვის. ამგვარი წარმატება ცხოვრებაში არ მქონიაო, აღიარა რაინდმა, რომელთან ერთადაც 21-ე ლონდონურ გარბენში სხვა ოცდაათ ათას კაცს შორის, ცოლმა ენმა და ვაჟმა ზაკმაც გაირბინეს ოცდაათი მილი.

# ბუშის საკალათბურთო შუადღე

ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს საკალათბურთო შუადღე გამოუვიდა. ამერიკის სტუდენტთა ჩემპიონატის გამარჯვებულებს, დიუკის ვაჟთა და ნოტრდამის ქალთა გუნდებს პრეზიდენტმა საგანგებო თასები გადასცა. ტანმაღალ გოგოებს პრეზიდენტმა მხნეობა და იერი შეუქო, ბიჭებს კი სამომავლო წარმატებები უსურვა. ქვედა ფოტოზე პრეზიდენტს მხარს უმშვენებენ წლევანდელი სტუდენტური ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშე შეინ ბეტიე (მარცხნივ) და დიუკელთა ღვაწლმოსილი მწვრთნელი მაიკ კრჟიჟევსკი.




REUTERS ვაშინგტონიდან



REUTERS ბუდაპეშტიდან

# ქალთა ჭიდილი

ბუდაპეშტში გასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ქალთა შეჯიბრმაც გვარიანი ინტერესი გამოიწვია. ამ ფოტოზე ჩანს, როგორ ცდილობს შვედი იდა კარლსონი უკრაინელი ტატიანა ლაზარევას მოგუდვას. ამაოდ ცდილობს: ლაზარევა ევროპის ჩემპიონი გახდა 56 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუპელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge